საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 112 (2226) სამშაბათი, 11 ივნისი, 1996 წელი. ფასი 30, თბილისის გარეთ 35 თეთრი.

საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო პრეზიდენტო,

ძვირფასო მეგობარო,

საქართველოსა და საფრანგეთს შორის სიახლოვე უძველესი და ძალიან ღრმაა. იგი დღესაც განაპირობებს ჩვენი ორმხრივი ურთიერთობის განვითარებისადმი სწრაფვას, რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სენატის თავმჯდომარის, ბატონ რენე მონორის ვიზიტი თქვენს ქვეყანაში.

ნება მიბოძეთ, ვისარგებლო შემთხვევით, და მადლობა გადაგიხადოთ ფრანკოფონიის სახელმწიფო მინისტრის, ქალბატონ მარგი სუდრის თბილისში ამასწინანდელი ვიზიტის დროს გულთბილი მიღებისათვის. მან დაბრუნებისთანავე გამიზიარა თავისი ერთობ დადებითი შთაბეჭდილებები თქვენს ქვეყანაში მიმდინარე აღმშენებლობასთან დაკავშირებით.

ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენი ძალისხმევა ამ მიმართულებით ხელს შეუწყობს იმ საქართველოს მომავალ კეთილდღეობას, რომელიც მსურს მუდამ ვიხილო დამოუკიდებელი და სუვერენული საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ საზღვრებში.

გამოვთქვამ სურვილს, რომ ჩვენ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა განუწყვეტლივ ვითარდებოდეს, და მსურს, ხელახლა დაგიდასტუროთ ჩემი მტკიცე მისწრაფება ჩვენი მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის მშვიდობისა და უსაფრთხოების საქმეში.

გთხოვთ, მერწმუნოთ, ბატონო პრეზიდენტო, ჩემს უღრმეს პატივისცემაში თქვენდამი.

გულითადი მეგობრობით

ჟაკ შირაკი,
საფრანგეთის პრეზიდენტი.

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ინდოეთის პრეზიდენტის ოფიციალური მიწვევა

8 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ინდოეთის ელჩი საქართველოში რაჯენდრა კუმარ რაი, რომელიც იმავდროულად არის ელჩი უკრაინაშიც.

— ჩემი მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან საქმიანი თანამშრომლობის განვითარებას, განსაკუთრებით ეკონომიკის სფეროში, — განაცხადა შეხვედრაზე ბატონმა რაჯენდრა კუმარ რაიმ და იქვე დასძინა, რომ ინდოეთის ხელისუფლება ორი სახელმწიფოს შემდგომი დაახლოების სტიმულირებისათვის აპირებს ჩვენს ქვეყანას გამოუყოს ხუთი მილიონი ამერიკული დოლარის კრედიტი.

დასასრულ, ბატონმა რაჯენდრა კუმარ რაიმ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს გადასცა პრეზიდენტ შანკარ დაიალ შარმას ოფიციალური მოწვევა მისთვის მოსახერხებელ დროს ეწვიოს ინდოეთს.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ინდოეთის ხელისუფლებას მიწვევისათვის და განაცხადა: ეს საპატიო და საპირო ვიზიტი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნების საქმიანი კონტაქტების შემდგომი გაფართოების საქმეში.

პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

დაინიშნენ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები

7 ივნისს გაიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი, რომელსაც უძღვებოდა სასამართლოს თავმჯდომარე მინდია უგრეხელიძე.

განიხილეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა დანიშვნის საკითხი. საქართველოს კონსტიტუციისა და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის თანახმად, კონსტიტუციური სასამართლოს ცხრა მოსამართლიდან სამს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

პლენუმის დადგენილებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებად დაინიშნენ: **გია დავითის ძე მეფარიშვილი, ნიკოლოზ გიორგის ძე ჩერქეზიშვილი და ლამარა იონას ასული ჩორგოლაშვილი.**

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 1996 წლის 7 ივნისს შეაჯამა 1996 წლის 2 ივნისს № 20 რუსთავის საარჩევნო ოლქში ჩატარებული საქართველოს პარლამენტის წევრის არჩევნების შედეგები.

№ 20 რუსთავის საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის წევრად არჩეულია ბატონი ზურაბ ჟამაკაშვილი.

„პურის ფასების ლიბერალიზაციის განხორციელება საბოლოოდ დაადასტურებს, რომ მზად ვართ სახელმწიფო ეკონომიკიდან საბაზრო მეურნეობაზე გადასასვლელად"

— ეკონომიკური კვირის მიმოხილვა, ალბათ, გუშინდელი თათბირის თემით უნდა დავიწყოთ, რომელიც მიეძღვნა პურის ფასის ლიბერალიზაციასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს. 3 ივნისს კისლოვოდსკში გაიმართა შეხვედრა კავკასიაში მშვიდობის დამყარების პრობლემებზე კავკასიისა და რუსეთის ხელმძღვანელთა მონაწილეობით, სადაც ამასთანავე საუბარი შეეხო საერთოკავკასიურ ეკონომიკურ სივრცეს. ხელმოწერილია დეკლარაცია — პირველი შეხვედრის, ასე ვთქვათ, ფორმალური შედეგი. თქვენ ინტერვიუში განსაკუთრებით აღნიშნეთ ჩრდილოეთკავკასიელი ლიდერების პასუხისმგებლობა კავკასიაში კონფლიქტების მოგვარებისა და, საერთოდ, კავკასიის მომავლისათვის. 4 ივნისს კავკასიის თემა კვლავ გაგრძელდა: საქართველოს ეწვია სომხეთის პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი. ირანიდან დაბრუნებისას (თქვენ მაშინ იქ შეხვდით ბატონ პეტროსიანს) თქვენ ასეთი რამ ბრძანეთ ამ მოსალოდნელ ვიზიტზე, — ეს არის განსაკუთრებული მნიშვნელობის ვიზიტი, რადგან იგი გამორჩეულ როლს შეასრულებს ორი ხალხის ურთიერთობაში... ასე დაიწყო ჟურნალისტმა **ნატო ონიანმა** ტრადიციული ინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტთან **ედუარდ შევარდნაძესთან.**

საქართველოს პრეზიდენტმა თქვა:

— დავიწყოთ კავკასიის პრობლემით. კავკასიის რეგიონისადმი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, საერთაშორისო ორგანიზაციისა და სტრუქტურის გაძლიერებული ეკონომიკური ინტერესების წრის შემდგომი გაფართოებისათვის, რომლის ერთ-ერთ ძირითად რგოლს ჩვენი ქვეყნის პოტენციური თუ რეალობად ქცეული შესაძლებლობებიც წარმოადგენს, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს განვლილ კვირაში კისლოვოდსკში გამართულ ამიერკავკასიის სახელმწიფოთა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრას. პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილი „კავკასიაში ეროვნებათაშორისი თანხმობის, მშვიდობის, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის დეკლარაცია" ხაზგასმით ადასტურებს რეგიონში არსებული კონფლიქტების მოგვარების საქმეში საერთო-ეკონომიკური სივრცის, სავაჭრო-ეკონომიკური თუ სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში ერთობლივი პროექტების განხორციელების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. უნდა გამოიყოს ხელშეკრულება რეგიონის ტერიტორიაზე კომუნიკაციათა აღდგენის შესახებ, რაც კავკასიის სახელმწიფოთა ტრადიციული ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის გამოცოცხლების აუცილებელი წინაპირობაა. მშვიდობიანი კავკასიისათვის მოძრაობა უდავოდ ძალას იკრებს. გააქტიურდა კულტურული, სამეცნიერო ურთიერთობა, კონტაქტები ადამიანებს შორის.

როგორც მოგახსენეთ, ამიერკავკასიისა და რუსეთის პრეზიდენტებთან ერთად ჩრდილოეთკავკასიის ხალხთა ლიდერების მონაწილეობა ამ მოძრაობას მართლაც უნიკალურ ხასიათს ანიჭებს. დარწმუნებული ვარ, რომ ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ასპექტების გათვალისწინებით ეს იმდენად მნიშვნელოვან მოძრაობად გადაიქცევა, რომ აუცილებლად დაიმსახურებს საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა სახელმწიფოების ყურადღებასა და სერიოზულ მხარდაჭერას, რამდენადაც მშვიდობიანი კავკასიით დაინტერესებული არიან არა მარტო კავკასიის ხალხები და სახელმწიფოები, არამედ სხვა მრავალი ქვეყანა და მათი ლიდერები, განსაკუთრებით იმ პერსპექტივასთან დაკავშირებით, რომელზეც გვქონდა საუბარი, — ეს გახლავთ ევრაზიის დერეფანი, კასპიის დიდი ნავთობი და ზოგიერთი სხვა მოვლენა.

ამ მიმართულებით მეტად საყურადღებოა საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ლევონ ტერ-პეტროსიანის ვიზიტი, რომლის დროსაც გამოიკვეთა საქართველო-სომხეთის სავაჭრო-

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 10 ივნისის რადიოინტერვიუ

ეკონომიკურ, რეგიონულ და რეგიონთაშორის კავშირ-ურთიერთობათა შემდგომი განვითარების, ტრანსეროვნული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების, ჩრდილოეთ-სამხრეთის ტრანზიტული ტვირთზიდვის ორგანიზების, შავი ზღვისა და ევროკავშირის ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირების, აგრეთვე ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და საფინანსო სფეროებში თანამშრომლობის მნიშვნელობის პერსპექტივა. ვიზიტის დროს ხელმოწერილია ათამდე ხელშეკრულება და შეთანხმება, მათ შორის ინვესტიციათა წახალისებისა და ორმხრივი დაცვის, საწარმოო კოოპერაციის, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების შექმნის ძირითადი პრინციპების, აგროსამრეწველო კომპლექსის დარგში სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ და სხვა. თუ ამას კომპლექსურად განვიხილავთ, თქვენ გახსოვთ, ჰეიდარ ალიევის შესანიშნავი და წარმატებული ვიზიტი საქართველოში და ის შეთანხმებანი, რომლებსაც მაშინ მოვაწერეთ ხელი, აგრეთვე ისლამ კარიმოვის ასევე დიდი მნიშვნელობის ვიზიტი, გამოდის, რომ ჩვენ საკმაოდ აქტიურად ვადგავართ მშვიდობიანი კავკასიის მშენებლობის გზას და მრავალი ქვეყნის ლიდერებმა უკვე შეძლეს ჩამოეყალიბებინათ ამ საკითხზე თავიანთი პოზიციები.

განვლილ კვირაშივე ოფიციალურ ვიზიტად მყოფი გაეროს განვითარების პროგრამის ადმინისტრატორის ჯეიმს გუსტავ სპეთის საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ ახლო მომავალში ამ ორგანიზაციას დაგეგმილი აქვს სოციალური და სამუშაო ადგილების შექმნის პროგრამების განხორციელება, გააქტიურდება, ასევე დახმარება ტრანსპორტისა და კომუნიკაციების, ენერგეტიკის სფეროების რეაბილიტაციისათვის. სადღეისოდ კი ხელმოწერილია საქართველოსათვის დახმარების გაწევის შესახებ განზრახვათა ოქმი, რომელიც ორი მილიონი ამერიკული დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს. ამ თანხის ნაწილი შეიძლება მოხმარდეს ცხინვალის რეგიონის რეაბილიტაციას, იმ სახლებისა და ნაგებობების, სატრანსპორტო მაგისტრალების აღდგენას, რომლებიც ცნობილი კონფლიქტის დროს დაინგრა. ამ საკითხებზე, ალბათ, დაგვჭირდება სერიოზული მოლაპარაკება, როგორც ცხინვალის რეგიონის ხელმძღვანელებთან, ასევე ჩრდილოეთ კავკასიის ლიდერებთანაც.

თქვენი შეკითხვის ნაწილი პურის ფასების ლიბერალიზაციაა. ამ კვირაში პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს პურის ფასების ლიბერალიზაცია (ამაზე ჩვენ არაერთხელ ვილაპარაკეთ). პურპროდუქტების სისტემის რეფორმირების ორგანიზებულად განხორციელებას მიეძღვნა გუშინ საქართველოს პრეზიდენტის ხელმძღვანელობით გამართული თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ სამხარეო და ადგილობრივი ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების პირველი პირები. შეკრებამ გვიჩვენა, რომ ქვეყანაში შექმნილია მოსახლეობის სოციალური დაცვის დღევანდელ ვითარებაში შესაძლებელ ღონისძიებათა განხორციელების ყველა წინაპირობა. ქვეყნის ცენტრალურ ბიუჯეტში გამოძებნილია სახსრები როგორც მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის კომპენსაციების გასაცემად, ასევე ხორბლის მუდმივი რეზერვის შესაქმნელად 12 მილიონი ლარის ოდენობით.

მნიშვნელოვანია პარიზში წარმატებით დამთავრებული დონორი ქვეყნების საკონსულტაციო შეხვედრისას ცალკეული დონორი ქვეყნების მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოსათვის ახალი დახმარების გაწევის, კერძოდ, ხორბლის შესაძენად გრანტების გამოყოფის თაობაზე. გააქტიურდა კერძო სტრუქტურების საქმიანობაც ხორბლისა და ფქვილის შემოტანის საქმეში.

ჩვენ მიერ განხორციელებული მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, საბიუჯეტო და საბანკო სისტემების გარდაქმნის, მასობრივი პრივატიზაციის და თუნდაც ეროვნული ვალუტის შემოღების საერთაშორისო რეზონანსის ღონისძიებები, მათი გადამწყვეტი მნიშვნელობის მიუხედავად, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით არ ყოფილა ისეთი საპასუხისმგებლო, როგორიც პურპროდუქტების სახელმწიფო სისტემის განკერძოებასთან ერთდროულად პურის ფასების გათავისუფლებაა. პურის ფასების ლიბერალიზაციის განხორციელება საბოლოოდ დაადასტურებს, რომ მზად ვართ სახელმწიფო ეკონომიკიდან საბაზრო მეურნეობაზე გადასასვლელად, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მიერ საქართველოსათვის დიდმასშტაბიანი, ვიმეორებ, დიდმასშტაბიანი ინვესტიციების გამოსაყოფად, ეკონომიკური დახმარების კურსის გასაგრძელებლად და კრიზისიდან ქვეყნის საბოლოოდ გამოსაყვანად მათს შესაბამის მომქმედებას. მინდა ვთქვა, რომ ახლა ქვეყანაში არსებობს ყველა პი-

(დასასრული მე-2 გვ.)

გერმანიის ფედერალური პრეზიდენტი რომან ჰერცოგი

რომან ჰერცოგი დაიბადა 1934 წლის 5 აპრილს, ბავარიის ქალაქ ლანდსჰუტში.

1957 წელს ჩააბარა პირველი სახელმწიფო გამოცდა სამართალში და განაგრძო სწავლა მიუნხენში. ერთი წლის შემდეგ მას მიუნხენის უნივერსიტეტში მიენიჭა დოქტორის წოდება. 1958-1964 წლებში იყო მიუნხენის უნივერსიტეტის მეცნიერ-ასისტენტი. 1961 წელს ჩააბარა მეორე სახელმწიფო გამოცდა სამართალში.

1964-1966 წლებში მოღვაწეობდა მიუნხენის უნივერსიტეტში ლექტორად. 1966-1969 წლებში იყო ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი სამოქალაქო სამართალსა და პოლიტიკაში, შემდეგ კი შპაიერის ადმინისტრაციული მეცნიერების კოლეჯის პროფესორი პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგში.

1971-1980 წლებში გერმანიის პროტესტანტული ეკლესიის სამოქალაქო პასუხისმგებლობის პალატის თავმჯდომარე, 1972 წლიდან კი გერმანიის პროტესტანტული ეკლესიის სინოდის სრული წევრი.

1973-1978 წლებში ეჭირა რაინლანდ-პფალცის ფედერალური მხარის ოფიციალური წარმომადგენლის პოსტი ფედერალურ მთავრობაში, ბონში. 1978-1980 წლებში იყო ბადენ-ვიურტემბერგის ფედერალური მხარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი.

1978-1983 წლებში იყო ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ქრისტიანულ-სოციალური კავშირის პროტესტანტთა სამუშაო ჯგუფის ეროვნული თავმჯდომარე.

1980-1983 წლებში იყო ბადენ-ვიურტემბერგის მხარის პარლამენტის (ლანდტაგი) წევრი და ამ მხარის შინაგან საქმეთა მინისტრი.

1983-1987 წლებში იყო ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ვიცე-პრეზიდენტი, შემდეგ კი შვიდი წლის განმავლობაში — ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტი.

1994 წლიდან გერმანიის ფედერალური პრეზიდენტია.

არის პროტესტანტი. ცოლშვილიანია, ჰყავს ორი ვაჟი.

პური ჩვენი არსობისა

პურის ფასი ტრაგედიად არ იქცევა

გაიმართა პურპროდუქტების სისტემის რეფორმის სამთავრობო კომისიის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრი ბატონი ბაკურ გულუა.

განიხილეს პურისა და ხორბლის ფასების ინდექსაციის, არსებული მარაგის რეალიზაციის, თანხების ამოღების, მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებების გატარების, პურის ფასების ლიბერალიზაციის პირობები, საბიუჯეტო ორგანიზაციების უზრუნველყოფის, სარკინიგზო ტარიფების, დარგის პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობისა და მთელი რიგი სხვა საკითხები.

აღინიშნა, რომ პურის ფასების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებების გატარების მიზნით, თბილისში, 3 ივნისს დაიწყო მოსახლეობაზე გადიდებული პენსია-დახმარებების გაცემა, ხოლო 4 ივნისს რესპუბლიკის ქალაქების და რაიონების ბანკებში ჩაირიცხა დამატებითი სახსრები, მიმდინარე წლის 7, 8 და 9 ივნისს სოფლის მეურნეობის და სურსათის, ეკონომიკის, ფინანსთა, სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროებისა და სახელმწიფო ბანკის პასუხისმგებელი მუშაკები იყვნენ საქართველოს სხვადასხვა რაიონში, ადგილებზე დახმარების გასაწევად, პურპროდუქტების სისტემის რეორგანიზაციისა და პურის ფასების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. რაც შეეხება, სახელმწიფო ბანკებს, ისინი იმუშავებენ დასვენების დღეებშიც.

ამავე საკითხებს მიეძღვნა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში სპეციალურად ჟურნალისტებისათვის გამართული პრესკონფერენცია, რომელსაც სამინისტროებისა და უწყებების პირველი პირები ესწრებოდნენ.

პასუხი გაეცა ბევრ შეკითხვას, აღინიშნა, რომ ხდება ნდობის ფაქტორის სახელმწიფო სექტორიდან გადანაწილება კერძო სექტორზე, მრეწველობის, ენერგეტიკის, სათბობით უზრუნველყოფის სამსახურების ახალი მოდელით ურთიერთდაკავშირება.

დღევანდელი მეწარმე უდიდეს პასუხისმგებლობას იღებს სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე.

მის სინდისზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

გამოიკვეთა აზრი, რომ საქართველოში, დღეისათვის იმის გარანტია არსებობდეს, რომ პურპროდუქტების საწარმოების მასობრივი პრივატიზაციისა და პურის ფასების ლიბერალიზაციის პროცესი უმტკივნეულოდ ჩაივლის, რომ დაცული იქნება მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესები.

თამარ ლაბაძე.

ვნებათაღელვამ, რომელიც პურის ფასების გათავისუფლების კამპანიას მოჰყვა, მთელი ჩვენი საზოგადოება მოიცვა. არის შიში (და საკმაოდ დიდიც), რომ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ამ საარსებოდ აუცილებელ პროდუქტზე ზღვრული ფასების დაწესებას, შეიქმნება ქაოსი, გაუგებრობა, ერთი ორომტრიალი, ამით ისარგებლებენ მაფიოზები, უნამუსო ბიზნესმენები (ცოტანი არიან თუ?), რომლებიც პურს უსაშველოდ გააძვირებენ და ისედაც გაღატაკებულ ხალხს მშიერ-მწყურვალს დატოვებენ. ამას დაემატება სხვა პროდუქტებზე ფასების ზრდაც.

არაო, ამბობენ დარგში მომუშავე მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელენი და სპეციალისტები — რეფორმებს ვერ დავასრულებთ, თუ ძირითად პროდუქტზე — პურზეც არ შევქმენით ბაზარიო. ეს არის წინასწარ გათვლილი, გეგმაზომიერი პროცესი და მისი შეფერხება ქვეყნისათვის უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებაო.

სულ ხელგაწვდილნი ხომ ვერ ვიქნებით, დასძინეს მესამენი, ჰუმანიტარული დახმარების დრო დამთავრდა, ჩვენ ახლა უკვე ფეხზე დავდექით და საზღვარგარეთელ დონორებთან პარტნიორულ ურთიერთობაზე გადავდივართო. ესეც არ იყოს, თუ პური იმ ფასად არ გაიყიდა, რაც მწარმოებელს უჯდება, მრეწველობის ამ დარგმა შეიძლება საერთოდ არსებობა შეწყვიტოსო.

მაგრამ რას ფიქრობს უშუალოდ თვით მწარმოებელი, ის ადამიანი, ვინც პურს ფასი უნდა დაადოს? ჩვენ, უპირველესად, ამით დავინტერესდით და თბილისის მეოთხე პურის ქარხანას ვეწვიეთ. იგი ერთ-ერთი უძველესი და მდიდარი ტრადიციების მქონე საწარმოა დედაქალაქში, ჰყავს მოაზროვნე თავკაცი მალხაზ დოლიძე, რომელსაც დარგში მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვს.

— დიდი ხანია ვემზადებოდით, — ამბობს ბატონი მალხაზ დოლიძე, — და აი, საბოლოოდ გადაწყდა კიდეც — 15 ივნისიდან პურზე თავისუფალი ფასები იქნება. ეს დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს ყველას, უპირველესად კი ჩვენ — პურის მრეწველებს. მთავარია, ნამუსიანად ვიმუშაოთ, პურს ისეთი ფასი დავადოთ, რომ მომხმარებელი შესწვდეს.

— პური თუ იაფად გაყიდეთ, მაშინ ხომ იზარალებთ?

— პირიქით, თუ ფასები ზღვარს გადავაცილეთ, მაშინ უფრო დავზარალდებით (ასეთი პური, უბრალოდ, არ გაიყიდება). ამიტომ ჩვენ შევეცდებით რაც შეიძლება მეტი და იაფი პროდუქცია გამოვუშვათ.

— მაინც, რა ეღირება თქვენს მიერ გამოცხობილი პური?

— სავარაუდო ღირებულება დღევანდელ კომერციულ ფასს (50-55 თეთრი) არ გადააჭარბებს. საშუალოდ კილოგრამ პურს 15-16 თეთრი მოემატება.

— ეს თქვენ, მაგრამ სხვებს ხომ შეუძლიათ პურს მეტი ფასი დაადონ?

— ასეთი პური, ჯერ ერთი, ვერ გაიყიდება, და მეორეც, სახელმწიფო დააწესებს ზღვრულ ფასებს, რომლის აწევის უფლება არავის ექნება. ასე რომ, პურის ფასებს შორის მაქსიმალური სხვაობა 2-5 თეთრს არ გადააჭარბებს.

(დასასრული მე-2 გვ.)

აღმასრულებელი ხელისუფლება

ჩვენს მკითხველებს უკვე ვაცნობეთ, რომ 7 მაისს ფოთში იმყოფებოდნენ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი, მისი მოადგილე მერაბ ადეიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე, საქართველოს პრეზიდენტის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურის უფროსი თემურ ფიფია, რიგი სამინისტროებისა და უწყებების, ბანკების ხელმძღვანელები.

გთავაზობთ „სრ" წინა ნომერში დაპირებულ მასალას ფოთიდან.

სურათზე: საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი ფოთში.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

წაბლისფერი ძროხები მწვანე გალახზე

თუ არ მივხედეთ, ლოკალურმა პრობლემებმა, შეიძლება, „აბრეშუმის გზის" პერსპექტივა გადაქოვონ

სამ დღეს გადაუღებლად წვიმდა ფოთში, დალბა ქალაქი, თუმცა ეს მისთვის ჩვეულებრივი მდგომარეობაა.

ნაწვიმარი გუბეებიდან და, რამდენიმე წელიწადია მოუვლელობით ჩახერგილი არხებიდან — ამ მინიჭაობებიდან ქალაქის ცენტრში გათამამებული ბაყაყების სოპრანო პოლიფონიები სასტვენის კონტრალტოს, კანტიკუნტად გამორჩენილ ავტომანქანებს ადგილზე რომ აქვავებდა, ბუნებრივად ერწყმოდა. იყო ივნისი, უჩვეულოდ გრილოდა და კოღოებიც — რეგიონის ერთადერთი სტუმრისმოძულე ელემენტი — ბედად, არ გამოსულიყვნენ სისხლიან ასპარეზზე.

ნიკოლაძის სანაპიროზე, შუქურაზე, ანუ „მაიაკზე", როგორც აქაურები ამბობენ, წაბლისფერი ძროხები საქმის ცოდნით ხასხასა კორიდორის დეკორატიული სტანდარტის შენარჩუნებაზე ზრუნავდნენ, და ქალაქის დაუდგენელი არაპატრიოტის მიერ იქვე დაყრილი სამშენებლო ნაგვის გორებთან მოფუსფუსე ორი მუშა სტუმრის მოლოდინში გაფაციცებული პატარძლის როლს მაინცა და მაინც კარგად ვერ ასრულებდა.

ყველაფერ ამას დაჟანგული ლამპიონების რიგი ისე მიუყვებოდა, როგორც საზღვარი წარსულთან.

ზღვა თითქოს ღელავდა, უფრო თავის გამოსაჩენად სანაპიროს ტალღას შემოადგაფუნებდა ზოგჯერ.

ზღვა სულ ახლოს მოსულიყო, — ზღვას მიჰქონდა ხმელეთი როგორც ნაფოტი.

ფოთი იყო სუფთა და მწვანე, ნესტიანი როგორც ყოველთვის, მაგრამ უკვე დამშვიდებული, იმ შინაგანი წინააღმდეგობებისაგან გათავისუფლებული, რომლებიც ბოლო წლებში მეტისმეტად უძნელებდა და ურთულებდა ცხოვრებას.

ასეთი იყო ფოთი 1996 წლის 7 ივნისს. ასეთად დაიხსომეთ ქალაქი, რომელიც წარსულს უნდა ჩაბარდეს.

დაიხსომეთ, შედარებისთვის იმ ქალაქთან, რომლის სახვალიო კონტურები დღეს უკვე ჩანს ნავსადგურის ახალი ტერმინალით და საბორნე გადაზიდვებით, უზბეკეთიდან ჩამოტანილი ბამბის პირველი საველე პარტიით და სუფსაში თხევადი საწვავის ტერმინალისთვის შერჩეული ადგილით, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

უნდა გჯეროდეს, გინდოდეს დანახვა და დაინახავ, როგორ იხაზება — ჯერ კიდევ მკრთალად, მხოლოდ პუნქტირით, მაგრამ უკვე მატერიალურ საფუძველზე ფოთის როგორც ტრანსეკას პროექტის ერთ-ერთი მთავარი კვანძის სურათი.

ოცნებისა და სურვილების ხვალე მუშაობისა და საქმის ხვალეთი შეიცვალა.

ფოთი — მომავლის ქალაქი? ძველი ლოზუნგებიდან მოდის თითქოს, მაგრამ რატომაც არა! ვინც დღეს ამას ირწმუნებს, ხვალ ასეთ ქალაქში იცხოვრებს.

ვალერი გეგიძე, ფოთის ნავსადგურის უფროსი ისე საუბრობს პორტის რეკონსტრუქციასა და პერსპექტივაზე, თითქოს მაკეტთან კი არ იდგეს, არამედ ამ დარბაზის კედლებს იქით განახლებული, [illegible], გაძლიერებული მეურნეობა ელოდებოდეს, რომელსაც 50 მილიონი ტვირთის დამუშავება შეუძლია უკვე.

ნუგზარ ნადარაიას, ქალაქის მერის მასშტაბი დღევანდელობაში არ ეტევა.

ვიცემერის ირაკლი მოწერელიას დღევანდელ პრობლემებზე „ჩივილი" ხვალის თვალით არის დანახული — წყალმარეგულირებლის ამოქმედება თუ ნაპირსამაგრი სამუშაოების აღდგენა, რადგან ზღვას ვაკე, რიონს ვაკე მიაქვს და მიაქვს ასობით ჰექტარი მიწა.

უნდა გჯეროდეს და შეებრძოლო, თორემ სტიქია დაგთრგუნავს, დაგჩაგრავს, უკანასკნელ იმედს გადაგიწურავს, როგორც აქ, მალთაყვაში, სადაც მდინარე კაპარჭინას, პალიასტომის ტბისა და შავი ზღვის არეული ურთიერთობა ეკოლოგიურ კატასტროფას უკვე ხელშესახებსა ხდის. მერე იკითხეთ ნინოშვილის „პალიასტომის ტბა" და იყავით, ახალი ჭაობის ამარა.

პროექტები, პროექტები და ისევ პროექტები. დასაწყები საქმე და დაწყებულის იძულებითი შეჩერება როგორც გვირაბმშენთან, ხიდმშენთან, სპეცმონტაჟმშენთან დადებული ხელშეკრულებების რეალიზაციის შეჩერება, უსახსრობის გამო.

300 მილიონი დოლარი, ბატონებო, და მთლიანად გადაიარაღდება ფოთის ნავსადგური!

(დასასრული მე-2 გვ.)

სიტყვიდან — საქმეზე

საქართველოს პრეზიდენტის ფოსტიდან

„**გვინდა** გამოვხატოთ უღრმესი მადლიერება თქვენსა და თქვენი კოლეგების მიმართ, რომლებმაც აქტიურად დაუჭირეს მხარი ჩაის დარგის საწარმოებისათვის და, მათ შორის, ფირმა „მარტინ ბაუერისთვის“ საინვესტიციო გარემოს შექმნის ღონისძიებებს. გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო საქართველოს პარლამენტმა, ქმნის მტკიცე საფუძველს საქართველოში ჩაის დარგის აღორძინებისათვის“, — ნათქვამია წერილში, რომელიც საქართველოში ვიზიტის შემდეგ გამოუგზავნა „მარტინ ბაუერის“ პრეზიდენტმა ადოლფ ველდემ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს. არც თუ დიდი დრო, რომელიც ცნობილი ფირმის წარმომადგენლების საქართველოში საქმიანი შეხვედრებისა და მოლაპარაკებების შემდეგ გავიდა, საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ქართველ და გერმანელ კოლეგებს შორის მიღწეული შეთანხმებები უკვე კონკრეტულ საქმეებად ქცეულიყო. ამის დასტურია ბატონ ველდეს სიტყვები: „ჩვენი მხრივ, ბატონო პრეზიდენტო, ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, რათა წლევანდელი ჩაის პროექტი წარმატებით განხორციელდეს საქართველოში. როგორც მოგეხსენებათ, უკვე დაიწყო ჩაის კრეფის სეზონი, მიღებულია პირველი პროდუქცია, რომლის ხარისხი სავსებით შეესაბამება მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნებს, ასეთი ნაწარმით ქართული ჩაი სულ მალე დაიბრუნებს თავის სახელს მსოფლიო ბაზარზე“.

„მარტინ ბაუერის“ პრეზიდენტი იმედს გამოთქვამს, რომ ფირმის ნაყოფიერი თანამშრომლობა საქართველოს ხელისუფლებასთან კვლავაც გაგრძელდება და სასიკეთო გავლენას მოახდენს ორი ქვეყნის ურთიერთობაზე.

კომპანია „კოკა-კოლას“ პრეზიდენტი ჯონ შეპარდი უღრმეს მადლობას უხდის საქართველოს პრეზიდენტს შეხვედრისათვის. „ჩვენთვის დიდი პატივი იყო თქვენთან საუბარი, ჩვენი კომპანიის საქმიანობის პერსპექტივების განხილვა, თქვენი პირადი შეხედულებების მოსმენა საქართველოს სამომავლო გეგმებზე, — ნათქვამია წერილში ბატონ ედუარდ შევარდნაძისადმი, — გაგვაოცა იმ განუსაზღვრელმა წინსვლამ, რომელსაც საქართველომ თქვენი ხელმძღვანელობის მოკლე დროში მიაღწია და რაც უთუოდ განაპირობებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და ბიზნესის განვითარებას თქვენს ქვეყანაში“.

ვიზიტის შედეგებს ბატონი შეპარდი აფასებს, როგორც ულრესად სასარგებლოს, — მინდა დაგარწმუნოთ, სწერს იგი საქართველოს ლიდერს, — რომ აღმოსავლეთ ცენტრალური ევროპის დივიზიის პასუხისმგებლობა საქართველოში ბიზნესის განვითარებისათვის უფრო გაძლიერდა. ჩვენ კვლავაც გამოვიყენებთ ყველა შესაძლებლობას, რათა დავეხმაროთ თქვენი ქვეყნის ეკონომიკას და ჩვენი ბიზნესის მონათესავე დარგებს.

— **საქართველოში** რუმინეთის სახელმწიფოს მეთაურის პირველი ვიზიტი ჩვენი ორმხრივი ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი მომენტია, — სწერს რუმინეთის პრეზიდენტი იონ ილიესკუ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.

თბილ და მადლიერებით აღსავსე წერილში ბატონი ილიესკუ არწმუნებს საქართველოს პრეზიდენტს, რომ რუმინეთის ხელისუფლებამ უკვე განახორციელა თბილისში ხელმოწერილი დოკუმენტების რეალიზაციისათვის აუცილებელი ღონისძიებები, ეს ეხება, აგრეთვე, ერთობლივ მიზნებს, უწინარესად, ეკონომიკის და ტრანსპორტის სფეროებში, რაც ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის მეგობრულ თანამშრომლობას ყველა ასპექტში.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

„პურის ფასების ლიბერალიზაციის განხორციელება საბოლოოდ დაადასტურებს, რომ მზად ვართ სახელმწიფო ეკონომიკიდან საბაზრო მეურნეობაზე გადასასვლელად“

(დასასრული)

რობა, რათა პურის ფასების ლიბერალიზაცია განხორციელდეს შედარებით უმტკივნეულოდ. გუშინ მოვისმინე დედაქალაქის ხელმძღვანელების, მხარეების რწმუნებულების, მინისტრების, დეპარტამენტების ხელმძღვანელების საკმაოდ დეტალური ინფორმაცია. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ეს რთული ღონისძიება შეიძლება ორგანიზებულად განხორციელდეს ყოველგვარი შიშისა და პანიკის გარეშე.

მინდა შევეხო ზოგიერთ სხვა ეკონომიკურ საკითხსაც. ქვეყნის აქტუალური შიდაეკონომიკური პროცესებიდან კვლავ პირველხარისხოვანი ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებას. ბიუჯეტის შევსებაზე თუ ნორმალურად ვიმუშავებთ, არ გამოვრიცხავ, რომ შემოდგომისათვის კვლავაც გვექნება საშუალება გარკვეული ოდენობით გავზარდოთ ხელფასები, ოღონდ იმ პირობით, რომ აუცილებლად უნდა სრულდებოდეს როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილი.

საბაჟო დეპარტამენტის მიერ ხუთ თვეში მიღებული საბიუჯეტო შემოსავალი 16,5 მილიონი ლარის ოდენობით თითქმის 6-ჯერ აღემატება შარშანდელი შესაბამისი პერიოდის დონეს. მარტო მაისში მიღებულია 5 მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ხუთი თვის შედეგების მიხედვით ჯერ კიდევ არ არის დაძლეული ჩამორჩენა და საპროგნოზო მაჩვენებელს აკლია 2,5 მილიონი ლარი.

საგადასახადო სამსახურის ცნობით, მაისში აკრეფილი საგადასახადო შემოსავალი 25 მილიონ ლარს შეადგენს. მართალია ეს არც ისე ბევრად სჭარბობს საგეგმო მაჩვენებელს, მაგრამ უნდა აღინიშნოს წლის დასაწყისიდან ჩამოყალიბებული ამგვარი შემოსავლის ზრდის ტენდენცია. კერძოდ, იანვარში მიღებული იყო 11 მილიონი ლარი, თებერვალში — 15 მილიონი, მარტსა და აპრილში — 17 მილიონზე მეტი ლარი და ასე შემდეგ.

საგადასახადო ინსპექციის ცნობით, ხორბლისა და ფქვილის რეალიზაციის შედეგად მაისში ბიუჯეტში ჩაირიცხა 11 მილიონი ლარი ანუ იმდენი, რამდენიც წლის პირველ ოთხ თვეში. ამას მოვახსენებ რადიომსმენელებს იმასთან დაკავშირებით, რომ წინა გამოსვლებში სერიოზული კრიტიკული შენიშვნები გამოვთქვი კორპორაციისა და ცალკეული წისქვილკომბინატების მიმართ. მარტო გასულ კვირას ბიუჯეტის ვადაგადაცილებული დავალიანება ნახევარ მილიონზე მეტი ლარით შემცირდა. მნიშვნელოვნად გამოასწორეს მდგომარეობა თბილისის ნავთლუღის, ქუთაისისა და მარნეულის პურპროდუქტების კომბინატებმა. ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს და ცენტრალურ ბიუჯეტში მისი კუთვნილი თანხა სრულად და უდანაკარგოდ უნდა ჩაირიცხოს.

მაისში საბიუჯეტო შემოსავლის ფორმირებაში თბილისის, აჭარის, შიდა ქართლის, გურიისა და სხვა რეგიონების მიერ შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილის ფონზე არასახარბიელო მდგომარეობაა იმერეთისა და ქვემო ქართლის მხარეებში, თვის გეგმები და საკონტროლო დავალებები აქ შესაბამისად 58 და 74 პროცენტით შესრულდა. იმერეთმა ბიუჯეტს თითქმის 6 მილიონი ლარი დააკლო, ქვემო ქართლმა კი — 2 მილიონ ლარზე მეტი.

ცალკეული რეგიონების, საწარმოებისა თუ ორგანიზაციების მიერ გეგმების შეუსრულებლობა კიდევ უფრო ამწვავებს ცენტრალური ბიუჯეტის ფორმირების ისედაც გართულებულ პროცესს. დროა გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები. ცენტრალური ბიუჯეტის შევსებაზე დამოკიდებულია საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანებისა და პროგრამების რეალიზაცია. განსაკუთრებით, ხაზს ვუსვამ, — მოსახლეობის სოციალური დაცვა. ყველა ამ პრობლემაზე, ბიუჯეტთან და ზოგიერთ სხვა ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებზე 19 ივნისს გაიმართება მთავრობის გაფართოებული სხდომა ადგილობრივი ადმინისტრაციების ხელმძღვანელთა მონაწილეობით, და ამის შესახებ, ბუნებრივია, მოსახლეობა ინფორმირებული იქნება.

ზაფხულის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, საქენერგოს ცნობით, ელექტროენერგიის სიჭარბე დღეს საშუალებას გვაძლევს გავზარდოთ მისი ექსპორტი ვალების დასაფარავად. თურქეთში დღე-ღამეში ამჟამად საშუალოდ 1,5 მილიონამდე კილოვატსაათი ელექტროენერგია გადაიტვირთება, ხოლო აზერბაიჯანში — 330 ათასამდე კილოვატსაათი. ამასთანავე, ენერგოსისტემაში მომავალი ზამთრისათვის მზადების გადადება არ შეიძლება. საჭირო საწვავის მომარაგების, სარემონტო სამუშაოებისა თუ სათადარიგო ნაწილების უზრუნველსაყოფად მოკლე ხანში უნდა გადავწყვიტოთ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის დაფარვის პრობლემები. ამისათვის საჭიროა უთუოდ შესრულდეს ამას წინათ საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული ბრძანებულებით გათვალისწინებული ღონისძიებები. კერძოდ, ივნისში მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება მინიმუმ 50 პროცენტით, ხოლო მესამე კვარტალში — 70 პროცენტით უნდა დაიფაროს.

ამავე დროს უნდა დაჩქარდეს ელექტროენერგიის რესტრუქტურიზაციის პროცესი, რომლის პროექტის დამუშავებაშიც ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწიეს ჩვენმა ამერიკელმა მეგობრებმა ამერიკის განვითარების სააგენტოს ხაზით. ამ სფეროში, აგრეთვე ნავთობის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში დახმარებისათვის ამერიკელთა მზადყოფნა დაადასტურა განვლილ კვირაში ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ჩარლზ კერტისის ვიზიტმა საქართველოში, რომლის დროსაც აღნიშნულ საკითხებზე მას საქმიანი საუბარი ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტთან და სხვა ხელმძღვანელებთან.

— **ამ კვირაში საქართველოს ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა გერმანიის ფედერალური პრეზიდენტი, იმ ქვეყნის პრეზიდენტი, რომლის განსაკუთრებულ ყურადღებასაც საქართველო ყოველთვის გრძნობდა...**

— ამ კვირას მე გერმანიის დღეებს დავარქმევდი, გნებავთ, გერმანულ კვირას. საყოველთაოდ ცნობილია ამ დიდი ქვეყნის ხაზგასმული მეგობრული და გულთბილი დამოკიდებულება საქართველოსადმი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ რომან ჰერცოგისა და მისი მეუღლის ჩამოსვლა ახალი ეტაპის, ფართომასშტაბიანი და მრავალმხრივი ურთიერთობის დაწყებას მოასწავებს. ამავე დროს ეს ვიზიტი მიგვანიშნებს გერმანელთა ხაზგასმულ ინტერესს საერთო-კავკასიური პრობლემებისადმი, რასაც ყოველმხრივ მივესალმები. საქართველო, რომელიც დამოუკიდებელ, დემოკრატიულ, თავისუფალ სახელმწიფოს აშენებს, მადლიერების გრძნობით შეეგებება საპატიო სტუმარს.

დაიხურა „თბილისური გაზაფხული-96“

6 ივნისს საცურაო კომპლექს „ვერეზე“ [illegible] დაიხურა ფესტივალი „თბილისური გაზაფხული-96“, რომელიც 12 დღეს გრძელდებოდა დედაქალაქში. ფესტივალის საზეიმო დახურვას ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი, ქალაქის მერი ბადრი შოშიტაიშვილი, სხვა ოფიციალური პირები, ასევე საქართველოში აკრედიტებული საზღვარგარეთის მისიების ხელმძღვანელები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, სტუმრები დედაქალაქის დაძმობილებული ქალაქებიდან.

გამოვლინდნენ ფესტივალ „თბილისური გაზაფხული-96“ გამარჯვებულები. პრიზები გადაეცათ მწერალ ჭაბუა ამირეჯიბს, მხატვარ გიორგი გეგეჭკორს, მომღერალ ეკა მამალაძეს, მსახიობ კოტე მახარაძეს, ფეხბურთელ გიორგი ქინქლაძეს, ქორეოგრაფ თამაზ გოგოტიშვილს, პიანისტ ნატო წვერელს, კინორეჟისორ ლევან თუთბერიძეს, ჟურნალისტ მანანა ლომაძეს.

ფირმა საქმიან წინადადებებს გვთავაზობს

7 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გერმანული ფირმა „დოკერიც თრეიდინგ კომპანის“ პრეზიდენტი ვოლფგანგ დოკერიცი.

შეხვედრაზე იმსჯელეს საქმიან წინადადებებზე, რომელთა განხორციელებაც აქვს გათვალისწინებული აღნიშნულ ფირმას. კერძოდ, პურპროდუქტების შემოტანაზე არსებული შეღავათებისა და წისქვილკომბინატების სიმძლავრეების გათვალისწინებით, „დოკერიც თრეიდინგ კომპანის“ დაგეგმილი აქვს ხორბლისა და ფქვილის იმპორტირებისა და ამ პროდუქციის ადგილობრივი წარმოების სტიმულირება.

დაისახა აგრეთვე მრეწველობისა და ტრანსპორტის სხვადასხვა დარგებში თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებიც.

პრეზიდენტის პრესსამსახური.

(დასასრული)

ნავსადგური, რომელიც ინტენსიურად იღებს და ცლის, ტვირთავს და უშვებს გემებს, და ნავსადგური-სასაფლაო: ჩაძირული, ნახევრად ჩაძირული ან ჩასაძირად გამზადებული ქიმერები, მასტოდონტები და სულ პატარა გემები, კატარღები, ბუქსირები — „ფონტი“, „ეკა“ და სახელწაშლილი როგორც უცნობი ჯარისკაცების საფლავები; ნაპირზე ამოყრილი როგორც დაწამლული და გახრწნილი თევზები თუ როგორც ნაგავი ზღვის, ქვიშაში ჩაფლული და ქვიშით ამოვსებული, აბალახებული უკვე, აჟანგიანებული გემბანებით, გაოხრებული „სახალხო დოვლათი“ ან „სოციალურად დაუცველი ფენა“.

პრობლემები, პრობლემები, მაგრამ არა სავაივიშოდ და თმების საგლეჯად, არამედ გადასაწყვეტად და მოსაგვარებლად ზედაპირზე ამოტანილი.

ფოთის მერის ინფორმაციაც ამ პრობლემებით არის დატვირთული.

ინფორმაცია ქალაქის საზოგადოებრიობის, სამეურნეო ხელმძღვანელების, ბიზნესმენთა წარმომადგენლებთან ერთად სახელმწიფო მინისტრისათვის წარდგენილი.

ისეთი პირი უჩანდა, რომ აქ, მერიის სხდომათა დარბაზში პარტიულ-სამეურნეო (ფორმით, რა თქმა უნდა) კრების მსგავსი ღონისძიების ჩატარებას აპირებდნენ, მაგრამ მადლობა ნიკო ლეკიშვილს, ამ ტრადიციულ მოსაწყენობას რომ აგვაცილა, და დამსწრეთ შესთავაზა მერის სამუშაო ოთახში გადაენაცვლათ, რათა სამუშაო ვითარებაში, არა მარტო ემსჯელათ, არამედ კიდეც მიეღოთ საქმიანი გადაწყვეტილებანი.

ასეც გაკეთდება.

მანამდე კი სახელმწიფო მინისტრმა თავისი დამოკიდებულება გამოხატა ფოთის, ქალაქის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის, ნავსადგურის განვითარების პერსპექტივის მიმართ დღევანდელი, ხშირად ძალიან პროზაული, ზოგჯერ „ტრადიციული“ პრობლემების ფონზე.

— **იმ დიდი პერსპექტივის სარეალიზაციოდ, რომელიც ფოთის და საერთოდ, რეგიონის წინაშე ისახება, — თქვა მან, — კონცეპტუალურად დამუშავებული ორი პროგრამა უნდა გვქონდეს — ერთი ჩვენს მიერ დაუყოვნებლივ განსახორციელებელი სამუშაოების, მეორე — პერსპექტიული. მონახაზები, რომლებიც ამ მიმართებით დარგის, ქალაქისა და ნავსადგურის ხელმძღვანელობას გააჩნია, ძირითადად მაინც იდეის დონეზეა და რეალურად არ ითვალისწინებს იმ პოტენციურ შესაძლებლობებს, რომლებიც ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში არის.**

არსებული პროექტების ეკონომიკური ეფექტის სკრუპულოზური გათვლის გარეშე ძნელია მსოფლიო ბანკის, ევრობანკის, სხვა საფინანსო ორგანიზაციების ეფექტიანი ფინანსური დახმარების იმედი გვქონდეს.

სპეციალისტებთან ერთად ამ საქმიანობის დაჩქარება მით უფრო საშურია, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტისაგან მას მიღებული აქვს გარანტია ნებისმიერი ოდენობისა და მოცულობის პროექტის სრული დაფინანსების თაობაზე.

იმპულსურად, სასწრაფოდ დიდი პროექტების (ნავთობსადენისა თუ უზბეკური ბამბის ტრანზიტის) ლოკალური, ერთჯერადი საკითხების გადაწყვეტა გვეხერხება, მაგრამ გლობალური პროგრამების განსახორციელებლად სისტემატური, ხანგრძლივი მუშაობისთვის მზად არა ვართ.

არადა, არის ყველა პოტენციური შესაძლებლობა, რომ ფოთი შავი ზღვის ამსტერდამად გადაიქცეს. აქ არსებული პოტენციალის ასამოქმედებლად საჭიროა მაქსიმალური ორგანიზებულობა, სერიოზული სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება, არსებულ წინააღმდეგობათა, მათ შორის — მონოპოლისტური ტენდენციის დაძლევა, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით საგადასახადო პოლიტიკის მოწესრიგება, კომერციალიზაციის პრობლემის მოგვარება სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების დაბალანსებული, ეფექტიანი მექანიზმის შექმნის მეშვეობით, ძლიერი ხელი და პერსპექტივის გარკვეულობა. სახელმწიფომ კი უნდა შექმნას პირობები, და კანონით ეკონომიკური ზონების შესახებ ქმნის კიდეც სამართლებრივ ბაზას ადგილობრივი ხელისუფლების, ადგილობრივი ინიციატივის დამოუკიდებელი და შედეგიანი მოქმედებისათვის.

წაბლისფერი ძროხები მწვანე ბალახზე

ასეთი[1] იყო ნიკო ლეკიშვილის საუბრის კვინტესენცია; ერთგვარი კონცეპტუალური შემზადება იმ პრაქტიკული შეხვედრისათვის, რომელიც ზემოთ ვახსენეთ.

ეს შეხვედრაც შედგა.

რა საკითხებზე იყო საუბარი, რა გადაწყდა და როგორ? ამ კითხვებს გაეცა პასუხი პრესკონფერენციაზე, რომელიც სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა აქვე, ადგილობრივი და რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიოს, გაზეთების „სვობოდნაია გრუზიას“, „ალიას“, „საქართველოს რესპუბლიკის“, ბიჯი-აის სააგენტოს ჟურნალისტებისათვის გამართა.

— ვისაუბრეთ კონკრეტულ საკითხებზე, ისეთზე, მაგალითად, როგორიც არის გემთსაშენებელი ქარხნის პრობლემა, — თქვა ნიკო ლეკიშვილმა. — ეს საწარმო ფაქტობრივად არ მუშაობს და ამ დროს ჩვენი გემების შეკეთება ბულგარეთის, რუსეთის, საბერძნეთისა და სხვა ნავსადგურებში ხდება. ამ ქარხნის დატვირთვის შესახებ დაისვა საკითხი.

პრობლემის არსი ის არის, რომ შეკეთების თვითღირებულება, დაკვეთების შესრულების ვადა, გარანტიები არ უპასუხებს დამკვეთის მოთხოვნებს.

გემთსაშენებელი ქარხანა, რომელმაც საბაზრო ეკონომიკის ასპარეზზე გამოსვლა სცადა, კონკურენციას ვერ უწევს მისი პროფილის ქარხნებს საზღვარგარეთ.

ჩვენ შეგვიძლია პრობლემა ნაწილობრივ გადავწყვიტოთ და გარკვეული დაკვეთებით უზრუნველვყოთ ეს ქარხანა. მაგრამ მას აქვს სხვა დიდი ფინანსური პრობლემაც, რომელიც ცნობილი ფაქტის, „კოლხიდას“ ტიპის გემების გაყიდვასთან არის დაკავშირებული, მას 13 მილიონი ლარი ეკუთვნის, მაგრამ ორგანიზაცია, რომელმაც გაყიდა, გადახდისუუნაროა.

ვფიქრობ, ამ პრობლემებს გადავწყვეტთ.

ეს ერთი. შემდეგ.

საზღვაო სანაოსნოში 200-მდე გემია, რომელთაგან გარკვეული ნაწილი დგას, ასეთივე მდგომარეობა არის „ფოთითევზშიც“, რომლის გემები არარენტაბელურია.

არის უზარმაზარი ქონება, რომელიც პრაქტიკულად მკვდარი კაპიტალია. მოვილაპარაკეთ, რომ შევქმნით კომისიას, რომელიც გადაწყვეტს, რა ვუყოთ ამ ქონებას, მისი რა ნაწილი დავიტოვოთ, რამდენი გავყიდოთ, რომ მიღებული თანხით ფეხზე დავაყენოთ ეს მეურნეობა.

ფოთის ნავსადგურის ფუნქციონირების, განვითარების პროექტების დაფინანსების საკითხების განხილვისას გაირკვა, რომ ჩვენს პროექტებს სარეალიზაციო სახე არა აქვს, არ არის სერიოზული ეკონომიკური დასაბუთება. გვაქვს საშუალება, რომ ჩავწყოთ ამ პრობლემის ექსპერტიზა და საერთაშორისო ბანკებში, ფინანსურ ორგანიზაციებში გამოვნახოთ დაფინანსების წყაროები.

პერსპექტიული ჩანს თხევადი გაზის ტერმინალის მშენებლობის საკითხი. ეს არის ძალიან დიდი პროექტი, რომელიც ჯერ მხოლოდ საწყის ეტაპზეა, მაგრამ არის მისი სწრაფად განხორციელების შესაძლებლობა. ლაპარაკია საქართველოს გავლით რამდენიმე მილიონი თხევადი გაზის გადაზიდვაზე. ეს, რა თქმა უნდა, დიდი შემოსავალია ქვეყნის ბიუჯეტში. ფოთის მერთან ნუგზარ ნადარაიასთან მოვილაპარაკეთ ტერიტორიის გამოყოფის შესახებ, ჩამოვლენ სპეციალისტები და დაიწყებენ ამ საკითხის ყოველმხრივ შესწავლას. დაფინანსების წყარო პრაქტიკულად არსებობს.

განვიხილეთ უზბეკეთის ბამბის, და, საერთოდ, ცენტრალური აზიის ქვეყნების ტვირთის ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების მეშვეობით გატანის საკითხები. მისი რაოდენობა 50 მილიონ ტონას მიაღწევს, მათ შორის, ბამბა მილიონ 200-300 ათასი ტონა არის ნავარაუდევი. წლეულს 300 ათასი ტონა უნდა გავიტანოთ, გაისად 500 ათასი და ასე, აღმავალი ხაზით. ამისთვის მზად რომ ვიყოთ, სასაწყობო მეურნეობის მოწესრიგება დაგვჭირდება. პირველი ეტაპი — დაცვის, ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა სისტემის საკითხები ამ თვეში განხორციელდება. მეორე ეტაპი უფრო ხანგრძლივი იქნება და ახალი საწყობების აგებას ვარაუდობს. აქვე გადავწყვიტეთ კონკრეტულად რომელი ბანკი დააფინანსებს. ამ პრაქტიკული შეხვედრის დროს გაირკვა, რომ არის სხვა რეზერვებიც — „ფოთითევზსაც“ ჰქონია საწყობები. მათი გამოყენების შესაძლებლობასაც შეისწავლიან.

არის სერტიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები, შესაქმნელია ნორმატიული ბაზა, განსასაზღვრია საბაჟოს მოქმედება ამ სივრცეში და, რაც მთავარია, ტვირთების დაცვის საკითხი.

მოვილაპარაკეთ, რომ ტვირთი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოდის, გემში ჩატვირთვამდე ერთი პატრონის ხელში იყოს. მოგეხსენებათ, რომ „მხედრიონიდან“ და უშიშროების სამსახურიდან დაწყებული ყველა აფათურებდა ფოთის ნავსადგურში ხელს, აწი ასე არ იქნება და, საერთოდ, ფუნქციები მკვეთრად გაიმიჯნება.

გადავწყვიტეთ, სასაწყობო მეურნეობა ერთობლივი საწარმოს ხასიათისა იყოს, რაც მომავალ კვირაში კონკრეტულ სახეს მიიღებს.

ფოთის ნავსადგურის მმართველობის სისტემა წარსულის რუდიმენტია, არ ვარგა, რადგან მისი მხოლოდ შეფერადება კომერციული სამსახურებით საკითხს პრინციპულად ვერ გადაწყვეტს. რესტრუქტურიზაციის პროექტი, რომელიც ჩვენი გერმანელი მეგობრების მეშვეობით იქნა დამუშავებული, მომავალი კვირიდანვე საფუძვლად დაედება ნავსადგურის ორგანიზაციულ გარდაქმნას. ამაზეც მოვილაპარაკეთ.

ნაპირდაცვის პრობლემა ძალიან მწვავედ დგას არა მარტო ფოთისთვის, არამედ მთლიანად ქვეყნისთვის. შეიქმნება სახელმწიფო კომისია და ჩვენ გამოვნახავთ სახსრებს ჯერ იმისათვის, რომ დაიწყოს პროექტირება და ჩამოყალიბდეს კონცეფცია ამ პრობლემასთან დაკავშირებით, შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციების საშუალებით დავაფინანსებთ ნაპირდაცვის მთელ პროგრამას.

განვიხილეთ სპორტული ბაზის, საავადმყოფოს, კულტურის დარგის საკითხები, და, ვფიქრობ, ჩვენი სახელმწიფო კანცელარიის სამსახურების მეშვეობით გადავწყვეტთ მათთვის დახმარების პრობლემას.

ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა მაღალი შეფასება მისცა ფოთის ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობას, თქვა, რომ ერთი წლის განმავლობაში აქ ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთდა, სტაბილიზაცია ფაქტია, და იმედი გამოთქვა, რომ დაიწყება აღმავლობის პროცესი. ამასთან, მან ხაზი გაუსვა ურბანიზაციის პრობლემებისადმი აუცილებელი ყურადღების საჭიროებას, რომლებიც ტრასეკის პროექტის განხორციელებას უნდა მოჰყვეს, რათა ინფრასტრუქტურის გონივრული განვითარებით თავიდან ავიცილოთ მეგაპოლისების წარმოშობის ტენდენცია. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, — თქვა მან, — რომ ფოთის ნავსადგურის განვითარებას მოჰყვეს იაფი მუშახელის გაჩენა, რაც უარყოფითად იმოქმედებს ქვეყნის მოსახლეობის სოციალური საკითხების გადაწყვეტაზე. ამასთან, მან აცნობა ჟურნალისტებს, რომ მისი კატეგორიული მოთხოვნა და პრინციპული პოზიციაა ყველა დიდი პროექტის სარეალიზაციო-სამშენებლო სამუშაოებში ჩვენი ორგანიზაციების მონაწილეობა არა ნაკლებ 50 პროცენტით, პრაქტიკულად უნდა დასაქმდეს ჩვენი მოსახლეობა. ეს მოთხოვნა მიღებულია და ფოთის პროექტების განხორციელებისას ასეთი პრინციპი იქნება ჩადებული.

სახელმწიფო მინისტრმა უპასუხა ჟურნალისტთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს.

და მთავარი: დიდი კრებისა და სიტყვაკაზმულობის გარეშე საქმიან ატმოსფეროში გადაწყდა ბევრი აქამდე საკამათო და ჰაერში გამოკიდებული საკითხი. ახლა მათი რეალიზაციის ეტაპი დაიწყო.

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს.

არმაზ სანებლიძე,
„სრ“ სპეც. კორ.
ფოთი — თბილისი.

პურის ფასების ლიბერალიზაცია: შეცდომები უნდა გამოირიცხოს

9 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა რესპუბლიკის მთავრობის გაფართოებული სხდომა, რომელზეც მოწვეული იყვნენ სამინისტროთა და უწყებათა, სამხარეო და ადგილობრივ ადმინისტრაციათა ხელმძღვანელები, საფინანსო სტრუქტურების წარმომადგენლები, ბიზნესმენები. განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხება პურის ფასების მომავალი ლიბერალიზაციისათვის პირობების მოსამზადებლად გაწეულ მუშაობას.

სხდომის გახსნისას, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ თავისი მნიშვნელობით, პურის ფასების გათავისუფლება ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ურთულესი ეტაპია. მთავრობამ გადადგა ეს ნაბიჯი იმიტომ, რომ უკვე აღარ აქვს ჰუმანური დახმარების იმედი, რომელსაც ბოლო წლებში იღებდა. ამ მიზნით სპეციალურად შექმნილმა კომისიამ დიდი მუშაობა გასწია, რათა ამ პროცესმა მოსახლეობისათვის ნაკლებად მტკივნეულად ჩაიაროს.

სხდომაზე გამოვიდნენ კომისიის თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი ბაკურ გულუა, კომისიის წევრები, სამინისტროთა და უწყებათა, სამხარეო ადმინისტრაციათა ხელმძღვანელები, რომლებმაც ილაპარაკეს ცენტრში და ადგილებზე გაწეული მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ პურპროდუქტების სისტემის ობიექტების დიდი უმრავლესობა პრივატიზებულია, ამავე დროს შექმნილია სახელმწიფო რეზერვები, რათა პურის ფასების მკვეთრი ზრდის საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში განახორციელონ ეკონომიკური ჩარევა. გაიმართა პირველი ვაჭრობა ბირჟაზე, სადაც გაიყიდა 2000 ტონა ხორბალი. განხორციელდა პურის ქარხნების ელექტროენერგიით შეუფერხებელი მომარაგების, ნავსადგურებიდან რკინიგზით შესაბამისი ტვირთების ტრანსპორტირების კონკრეტული ღონისძიებანი და სხვა. კიდევ ერთხელ დააზუსტეს პურპროდუქტების წარმოებისა და ვაჭრობის სისტემაში მომავალი რეფორმის განხორციელების, მოსახლეობის სოციალური დაცვის ყველა დეტალი, გააანალიზეს მოსალოდნელი სიძნელეები და მათი დაძლევის გზები.

სხდომის შედეგების შეჯამებისას ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ პურის ფასების ლიბერალიზაცია ჩვენს ქვეყანას, ყველა სახელმწიფო უწყებასა და თითოეულ მუშაკს სერიოზული გამოცდის წინაშე აყენებს. მან მაღალი შეფასება მისცა სპეციალური კომისიის საქმიანობას და თქვა, რომ მის მიერ განხორციელებული უზარმაზარი მუშაობა გვმატებს რწმენას, რომ ეკონომიკური რეფორმების გზაზე ეს რთული საზღვარიც წარმატებით გადაილახება. გათვალისწინებულია მთელი რიგი შეღავათები პურის ბიზნესში დასაქმებული მეწარმეებისათვის. ეს ძნელი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ მთავრობა მაინც დაადგა ამ გზას, რათა თავიდან აიცილოს ფასების მკვეთრი ზრდა. მოსახლეობას უნდა სჯეროდეს, რომ სახელმწიფო არ დაუშვებს მდგომარეობის გაუარესებას. რაც შეეხება კომპენსაციას, შენიშნა ედუარდ შევარდნაძემ, აქ ჯერ კიდევ არ არის ამოწურული ყველა რეზერვი. ადგილებზე უნდა შეიქმნას სპეციალური ფონდები, რათა დახმარება გაეწიოს ხელმოკლე ოჯახებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ სფეროში საბაზრო ურთიერთობის დამკვიდრება საკუთარი მარცვლეულის წარმოების საქმეში აქტიურობის მკვეთრი ზრდის გარანტიას ქმნის. საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, ბანკებს ეძლევათ საშუალება დააბანდონ თავიანთი სახსრები, რადგან რენტაბელურობის 10-პროცენტიანი დონისა და ასეთი ინტენსიური ბრუნვის პირობებში პურის ბიზნესის შედეგად მიღებული მოგება შეიძლება ძალიან მაღალი იყოს.

საქინფორმი.

პურის ფასი ტრაგედიად არ იქცევა

(დასასრული)

— **პატარა საცხობები რაღას იზამენ, ისინი ხომ დღესაც ძვირად ყიდიან პურს?**

— ისინი მცირე რაოდენობის პროდუქციას უშვებენ და პურის მრეწველობაში ძლესდლეობით ამინდს ვერ ქმნიან. ესეც არ იყოს, ზღვრული ფასები მათზეც გავრცელდება.

— **ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ თუ ხორბლის შემომტანმა ბიზნესმენებმა ფასებს აუწიეს, მაშინ რას შვრებით?**

— კანონით ეს არ უნდა მოხდეს (ისინი ხომ გადასახადისგან განთავისუფლებული არიან და მოვალენი არიან ხორბალი იაფად გაყიდონ), მაგრამ თუ ამას მაინც ვერ ავცდით, სახელმწიფოს მისი დარეგულირების საშუალებაც აქვს. ხორბლის სახელმწიფო რეზერვის შესაქმნელად გამოყოფილია 12 მილიონი ლარი და შემოტანილია 50 ათასი ტონა მარცვალი, რაც ერთ თვეზე მეტი ხნის მარაგია რესპუბლიკისათვის. თუ ხორბალი გაძვირდა, ამ შემთხვევაში სახელმწიფო აუქციონზე გასაყიდად გამოიტანს სარეზერვო მარცვალს და ფასების წონასწორობას ამით შეინარჩუნებს.

გვექნება სხვა გარანტიაც, თბილისის მერიამ ქალაქის პურის ქარხნებთან ერთად შექმნა ახალი სააქციო საზოგადოება „თბილისპურპროდუქტი“, რომელიც ჩვენ მარცვლეულითა და ფქვილით მომარაგებაში შესაძლო შეფერხებებისგან დაგვიცავს. ამ მიმართულებით ახალმა, ასე ვთქვათ, პარტნიორულმა ორგანიზაციამ, პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა — მან საზღვარგარეთ 3 ათასი ტონა ხორბალი შეიძინა და ფოთში შემოიტანა. ყველა პირობა იქნება იმისათვის, რომ პურზე ფასების ლიბერალიზაცია ხალხს ტრაგედიად არ ექცეს.

— **ბატონო მალხაზ, მალაზიებზე რაღას იტყვით, მათაც ხომ შეუძლიათ პურის ფასი ასწიონ?**

— არა, ისინიც საზღვრებში ექცევიან. ჩვენ სავაჭრო ორგანიზაციებთან 15 ივნისიდან გავაფორმებთ ხელშეკრულებებს, სადაც ჩაიწერება, რომ სავაჭრო შეღავათის განაკვეთი 5 პროცენტით შემოიფარგლება.

— **ოთხი სამინისტროს ბრძანებაში (1996 წლის 21 მაისი) აღნიშნულია, რომ პურპროდუქტების საწარმოებში რენტაბელობის ზღვრული დონე 10 პროცენტს არ გადააჭარბებს. ასეთი პირობა ნუთუ ხელს გაძლევთ?**

— ესეც ხალხის ინტერესებიდან გამომდინარეობს. ჩვენ თუ რენტაბელობის დონე 10 პროცენტზე მეტად გავზარდეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ პურის ფასები უზომოდ გაიბეროს. ასეთი რენტაბელობა, რა თქმა უნდა, იდეალური არ არის, მაგრამ იგი ჯერჯერობით არსებობის საშუალებას მოგვცემს.

— **ეს პურის ხარისხს ხომ არ აზარალებს?**

— არა. გამოვაცხობთ ყველა ხარისხის პურს, როგორც უმაღლესს, ასევე მეორე ხარისხისას და შავს, რათა მოსახლეობას არჩევანის საშუალება ჰქონდეს. შეიძლება სხვადასხვა წონის პურიც გამოვუშვათ, ოღონდ ამას საწარმოს ტექნიკური სრულყოფა დასჭირდება.

— **დიეტურ პურს არ გამოაცხობთ?**

— რატომაც არა (ჩვენს კოლექტივს ამის საკმაო გამოცდილება აქვს). თუკი თანხები იქნება და შეკვეთა, ამასაც გავაკეთებთ. თანხაზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ასეთი პურის გამოცხობა ჩვეულებრივზე ძვირი ჯდება (ცომი ირეცხება, დანაკარგები დიდია). ამიტომაც სახელმწიფო მისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან დამატებით ასიგნებას გამოყოფს.

დირექტორი შეჩერდა იმ პრობლემებზეც, რომლებიც ქარხანას ასეთ კრიზისულ სიტუაციაში აწუხებს. მისი თქმით, პურის საწარმოებს დღემდე ვერ მოეხსნა ენერგეტიკული დაძაბულობა. ქალაქში ძნელი საშოვარი გახდა მაზუთი, ბუნებრივმა აირმა კი მათამდე ვერა და ვერ მოაღწია. ფული წინასწარ აქვთ გადახდილი, მაგრამ ქსელის მოუწესრიგებლობის გამო გაზს ვერ ღებულობენ. ეს პროცესი მთელი წელიწადია გრძელდება და საშველი ვერ დაადგა.

გაჭიანურდა საწარმოს პრივატიზაციის პროცესიც, იგი დაემთხვა პურზე ფასების „აშვების“ პერიოდს, რაც კოლექტივის ნაყოფიერებასა და გუნება-განწყობილებაზე უარყოფითად მოქმედებს. მართალია, ქარხანა იჯარით (გამოსყიდვის უფლებით) გადაეცა კოლექტივს, მაგრამ პრაქტიკულად ეს პროცესი ვერ დასრულდა. გამოჩნდნენ მაფიოზური ძალები, რომლებიც ვითომ ხალხის ინტერესებსა და ვაუჩერებს ამოფარებულნი, ცდილობენ საწარმოს წილში ჩაუდგნენ და დიდძალი ქონება ჩაიგდონ ხელში. ამის მაგალითები ქალაქში უკვე გამოჩნდა (ცენტრალური უნივერმაღი, გაერთიანება „მზიური“, თამბაქოს ფაბრიკა და სხვები), სადაც საწარმოთა თანამფლობელები გახდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც კოლექტივებთან არავითარი საერთო არა აქვთ.

საწარმოში არანაკლებ აწუხებთ საბანკო პრობლემაც. წარმოიდგინეთ, მაღაზიები ფულს რომ ურიცხავენ, ქარხნის ანგარიშზე 5-6 დღის შემდეგ ხდება, რაც ანგარიშსწორების პროცესს დიდად აფერხებს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი უანგარიშსწორებოდ ცხოვრება სულ უფრო შეუძლებელი ხდება — სხვას ამათი მართებს, ამათ სხვისა და ბრკოლდება მუშაობა. ადვილი მისახვედრია, ამას რა მოჰყვება ახლო მომავალში, როცა ვალებში ჩავარდნილ პურის მცხობელ საწარმოს წინასწარ გადაუხდელად ფქვილს ალარავინ მისცემს.

ეს საკუთრივ საწარმოთა პრობლემებია, მაგრამ ნორმირებული პროდუქტების უკანასკნელი მოჰიკანის — პურის საბაზრო მორევის დინებაში ჩართვა მთავრობისა და ხალხის წინაშე აყენებს სხვა მეტად მნიშვნელოვან პრობლემებსაც, მით უფრო რომ ამ პროცესს თან ახლავს უნდობლობისა და მოულოდნელობის ელემენტებიც.

ერთი ამათგანია პურის ფასების გათავისუფლებასთან დაკავშირებით კომპენსაცია. ოთხი სამინისტროს ბრძანებაში ნათქვამია, რომ პენსიებს, საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელფასებს, დახმარებებს დაემატება კომპენსაცია 1,5 ლარის ოდენობით. ცოტაა ეს თუ ბევრი? იმავე სამინისტროების მოხელეთა განმარტებით, ეს სრულიად ანაზღაურებს მოქალაქეთა მოსალოდნელ ზარალს. პირიქით, თუ ზუსტად ვიანგარიშებთ (თვეში 9 კილოგრამ პურს კომპენსაცია 144 თეთრი უწევს), ეს თანხა 6 თეთრით ზედმეტიც გამოვა.

დაგვეთანხმებით, ამაზე საუბარი ცოტა უხერხული ხომ არ არის? ისეთ „პურის მჭამელ“ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, კაცმა რაც 300 გრამზე მეტი მიირთვას, ვის კისერზე იყოს? ანდა, რა ქნან იმათ, ვინც საბიუჯეტო ორგანიზაციაში ან საერთოდ არ მუშაობს? (ასეთები ხომ ჩვენი საზოგადოების უმრავლესობას შეადგენენ).

აქ, რა თქმა უნდა, გამოდგება ცნობილი გამოთქმა: საბანი სადამდეც გაგწვდება, იქამდე უნდა დაიხუროვო. სახელმწიფომ იმდენი უნდა გადაიხადოს, რისი გაღებაც რეალურად შეუძლიაო. არადა იგივე მოხელენი თავს იმართლებენ — სხვაგვარად რომ მოვიქცეთ, ინფლაცია იმძლავრებს და ეს ძვირფასი ლარი ისევ გაგვიკუპონდებაო. ასე რომ, ის მცირე კომპენსაცია გვერჩიოს გაკუპონებულ ფულს, რომლითაც პურის ყიდვასაც ველარ შევძლებთო.

მოგეცა ცხენა, ლარი ლოლარს რომ „ეჭიდება“, გვეამაყება. **მაგრამ უღაროდ ლარის მაღალი კურსის მშვენიერებით როდემდე დავტკბეთ? ხალხს თუ რეალური ხელფასი არ მივეცით, რა იყიდოს და რით იარსებოს?**

ასე რომ, პურზე ფასების გათავისუფლება სულაც არ ნიშნავს ამ პროცესის შედეგებისგან ხელისუფლების პასუხისმგებლობის გათავისუფლებას. იგი მოვალეა თავისი ლატაკი ხალხი იხსნას საბაზრო ეკონომიკის მოსალოდნელი რყევებისგან.

ოთარ ხუციშვილი.

სიმართლე უნდა გითხრათ...

ღია წერილი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარ რედაქტორს

ბატონო რედაქტორო!

„საქართველოს რესპუბლიკის" მ/წ 5 ივნისის ნომერში დაბეჭდილმა სტატიამ „გაუგებარი გამგებელი და დაჩაგრული ხალხი" — სიმართლე უნდა გითხრათ, განმაცვიფრა, რადგან ამ წერილის ავტორებმა, რომელთაც აბაშაში კარგად იცნობენ, ჩემზე რომ არაფერი ვთქვა, საზოგადოებას მიაყენეს შეურაცხყოფა და რა გულდასაწყვეტია, რომ ნებსით თუ უნებლიეთ, ეს გააკეთა იმ გაზეთმა, რომელიც ჩვენი ქვეყნის პრესის ფლაგმანად აღიქმება.

აბაშაში დაბადებული, აქვე გაზრდილი და სიცოცხლის ბოლომდე აქ ცხოვრების მსურველი — ჩემი ხალხისთვის გაუგებარი და აუხსნელი არასოდეს ვყოფილვარ.

ამ წერილით თავის მართლებას არც ვაპირებ, და არც მეკადრება, — რადგან, ხალხმა უნდა განსაზღვროს ჩემი ავკარგიცა და კაცობის ნამუსიც. იმას კი, თავაწეული გეტყვით, ბატონო რედაქტორო, რომ 4 შვილს ვუზრდი ჩემს ქვეყანას და ყოველ [illegible]ისმარეს უფალს ვევედრები, უნებლიეთ ისეთი შეცდომა არ დავუშვა, რომ შემდგომში ჩემს შვილებს არ შერცხვეთ ჩემი ნამოქმედარის.

მძიმეა გამგებლის უღელი, 1992 წლის იანვრის თვიდან ვეწევი ამ ჭაპანს. დეკემბერ-იანვრის ცნობილი ტრაგედიის შემდეგ რაიონის პრეფექტი უგზო-უკვლოდ გადაიკარგა და რამდენიმე კვირით ყველაფერი უპატრონოდ იყო მიტოვებული, რაიონს ხელმძღვანელი სჭირდებოდა — რაიონული აქტივისა და პარტიათა წარმომადგენლობით საერთო კრებაზე ერთხმად ამირჩიეს გამგებლად, რაც შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა დაამტკიცა და იმ დღიდან არასოდეს მიღალატია ამ ნდობისათვის. ქვეყნის ავბედობის ამ განვლილმა ხუთმა წელმა არამარტო აბაშელები, არამედ სრულიად საქართველო დაჩაგრა.

ერთეულთა გონდაბნეულების შედეგად დატრიალებულმა ტრაგედიამ მწარე გასახსენებლად გაგვიხადა ყოველი გარდასული დღე. მავანთა ამბიციურმა ქმედობამ, ჩვენი ისედაც გატანჯული ციდა ქვეყანა გახლეჩის საშიშროების წინაშე დააყენა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ დაიდო პირობითი საზღვარი ცხენისწყლის ნაპირებზე.

ყაჩაღობა და ბანდიტობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

რამდენი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა ამ ტრაგედიას.

ბევრს ვეცადე, შუაზე გაყოფილი საზოგადოება შემერიგებინა და დაპირისპირების სიმძაფრე გამენეიტრალებინა, მაგრამ მგლის თავზე სახარების კითხვა მართლაც ამაო აღმოჩნდა.

1993 წლის სექტემბერ-ოქტომბრის მოვლენებმა ყველაფერს გადააჭარბეს — იმ მწარედ გასახსენებელ დღეებს ერის ღალატის მეტს სხვას ვერ შეარქმევს სახელად კაცი.

აფხაზეთი ცეცხლის ალში იყო გახვეული და სოხუმის დაცემამდე თურმე ორიოდ დღე ყოფილა დარჩენილი, აბაშის კულტურის სახლში კი სამტრედიის „ალებასთან" დაკავშირებით კონცერტს ამზადებდა კულტურის განყოფილების გამგე, რაიონის დაუმორჩილებლობის კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი ზაურ თორდია — დღეს რომ ასე ურცხვად მომიწოდებს იმ სტატიიდან ზნეობრიობისაკენ. ამ ფაქტის დამადასტურებელი აფიშის არსებობა დღესაც ბევრს ახსოვს აბაშაში.

სარედაქციო ფოსტიდან

მეორე ფაქტსაც გავიხსენებ, ბატონო რედაქტორო, — ქობალიას რაზმელებმა შუა აბაშაში რომ 3 აგვისტოს დააყენეს სამტრედიისკენ მიმართული „გრადის" სისტემა და საკუთარ სისხლსა და ხორცს ცეცხლი დაუშინეს, კონსტანტინე გამსახურდიას სახელს ამოფარებული საზოგადოება, რომლის ერთ-ერთი თავკაცი ბატონი მურმან ბურსულაიაა, იმ სტატიის მეორე ავტორი — იქვე, იმავე კულტურის სახლში თათბირს თათბირზე მართავდა, მაგრამ არც ერთხელ არ მოუწოდებია — ახალგაზრდებო, შეჩერდით, გონს მოეგეთ, ნუ ხოცავთ ერთმანეთსო, სიტყვა არ წამოსცდენია — აფხაზეთში უმანკო ბავშვებს ხოცავენ, ქალებს ყელს ჰრიან, ჩვენს ჯიშსა და ჯილაგს წყვეტენ და იმათ მიეშველეთო. პირიქით, მათი მიზნები თბილისისკენ იყო მიმართული, ძალაუფლების ალებისაკენ მიისწრაფოდნენ და აფხაზეთის ტრაგედია კი მეორეხარისხოვანი საკითხი იყო.

აი ასეთი მორალის მქონე მხცოვანი „პედაგოგი" დღეს მე, ჩემი ხალხის დაჩაგვრას, აბუჩად აგდებას და უზნეობას მდებს ბრალად, როდესაც ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის პერიოდში არაეთიკური საქციელის გამო სკოლიდან იქნა გაძევებული.

როცა საბოლოოდ ქვეყნის ბედი გადაწყდა და ადგილობრივი ხელისუფლება თავის უფლებებში აღდგა, გამგეობის რამდენიმე მუშაკი და ზოგიერთი წარმოების ხელმძღვანელი, რომელთა ქმედება აშკარა სახელმწიფო ღალატში გადაიზარდა, აი, ასეთი „რაიონის კეთილდღეობისათვის წლების მანძილზე დამაშვრალი, დამსახურებული ავტორიტეტის მქონე პირი", — უნდობლობის საფუძველზე დავითხოვე სახელმწიფო სამსახურიდან. ორი მათგანის ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი გაგაცანით. დანარჩენებზე საუბრით მე თავს არ შეგაწყენთ. რადგან, თუ რაიმე უკანონობა ჩავიდინე მათ მიმართ, სამართალდამცავმა ორგანოებმა მიიღონ სათანადო გადაწყვეტილება.

მე მოვიქეცი ისე, როგორც ქვეყნის მოღალატეებს მოექცეოდა ნებისმიერი ხელისუფალი — მტყუან-მართალი თემიდის მსჯავრმა განსაზღვროს.

„მხედრიონის" სახელს ამოფარებულმა მრავალმა ავაზაკმა თუ რა ცოდვა-ბრალი დაატრიალა არამარტო სამეგრელოში, არამედ სრულიად საქართველოში, საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი — და ჩვენ ვიყავით ერთ-ერთი პირველნი, ვინც მათი ქმედების წინააღმდეგ აშკარად გავილაშქრეთ და ამის დამამტკიცებელი საბუთები არსებობს — მაგრამ რა ზნეობით უწოდებენ, ბატონები ზ. თორდია და მ. ბურსულაია ქობალიას რაზმელებს დღეს ე. წ. გვარდიელებს — როდესაც მხოლოდ მათ ცნობდნენ ეროვნულ ძალებად — მათ მიერ ჩადენილ ნაავაზაკარზე კი ერთხელაც არ დასცდენიათ ძვირი.

დღესაც და მაშინაც, ჩემს გვერდით იდგა და დგას თანამოაზრეთა, მეგობართა, თანამშრომელთა მთელი ჯგუფი — ის „მორჩილი უმრავლესობა", ასე აგდებით რომ მოიხსენიებენ სტატიის ავტორები.

განა მკრეხელობა არ არის, ხალხს, რომელიც ერის გამთლიანებისათვის, რაიონის ეკონომიკის აღმავლობისათვის დღენიადაგ იღვწის — გამგეობის მონა-მორჩილი გარემოცვა და მაფიოზურ-საქმოსნური კლანი უწოდო, მათ თავდადებულ შრომას კი უზნეობა.

ბატონო რედაქტორო, ამ პიროვნებების მიერ დაწერილი საჩივრები დღეს რესპუბლიკის არაერთი ინსტანციისთვისაა ცნობილი. ყველა ის ბრალდება, რომელსაც მე მიყენებენ წერილის ავტორები, არაერთხელ შემოწმდა და გადამოწმდა. ამ კომისიების დასკვნები რაიონში ბევრისთვისაა ცნობილი და ამჟამადაც ადგილზე ინახება. ავტორებისათვის ეს ყოველივე კარგადაა ცნობილი...

დღეს რაიონის საზოგადოება ამ პასკვილის გამოქვეყნების გამო, აღშფოთებულია — ჩამობრძანდით, შეხვდით ხალხს, თქვენი თვალით ნახეთ ჩვენი ავკარგი — შემდგომ თქვენ თვითონ გამოიტანეთ ობიექტური დასკვნა, თუ რაოდენ შეეფარდება ამ წერილში მოყვანილი „ფაქტები" რეალურ სიმართლეს. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ რაიონში ყველაფერი წესრიგშია, უბრალოდ, ჩვენ ვცდილობთ, ვშრომობთ და გვსურს ვიყოთ მოწინავეთა რიგებში.

მე კი აქ ვწყვეტ, ბატონო რედაქტორო, რადგან, მათსავით ვერ დავეცემი და მათ ბინძურ ქმედობაზე საუბარს არ გავაგრძელებ.

პატივისცემით
აბაშის რაიონის გამგებელი
სოსო ჭანტურია.

რედაქციისგან:

დღევანდელი დემოკრატიის ვითარებაში სრულიად ბუნებრივია, რომ აბაშის რაიონში შექმნილ სიტუაციაზე ორი ურთიერთგამომრიცხავი წერილი დაბეჭდილიყო.

ჟურნალისტური კვლევის თვალსაზრისით, ყველაზე უპრიანი იქნება ადგილზე ჩასვლა და ხალხის აზრის შესწავლა-შეჯერება. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" სარედაქციო კოლეგია უახლოეს დღეებში აუცილებლად მიავლენს აბაშის რაიონში კვალიფიციურ ჟურნალისტთა ჯგუფს.

ღმერთმა ქნას, რაც აუგი ითქვა, ტყუილი გამომდგარიყოს, კარგმა და მართალმა კი გაიმარჯვოს.

კისლოვოდსკის შეხვედრის მრავალხმიანი ექო

გორის საგუნდო მუსიკის ფესტივალზე

„...**ვაცხადებთ**, რომ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ყოველნაირად შევუწყოთ ხელი კავკასიაში მყარი მშვიდობისა და სტაბილურობის დამკვიდრებას, გავაფართოოთ და განვამტკიცოთ ჩვენი ხალხების ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა", — ასე ჩაწერეს აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებმა კისლოვოდსკის სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში და ამით ხაზი გაუსვეს იმას, რომ შეერთებული ძალისხმევით ბოლო უნდა მოეღოს შუღლსა და უთანხმოებას თავიანთ ტერიტორიაზე, ერთნიშნად დაუჭირეს მხარი „მშვიდობიანი კავკასიის იდეას", რომლის ერთ-ერთი ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.

კისლოვოდსკის დეკლარაციაზე მელანი, რომ იტყვიან, ჯერაც არ იყო შემშრალი, რომ გორისკენ, საგუნდო მუსიკის ფესტივალზე, სწორედ ამ ოთხი ქვეყნის საუკეთესო საგუნდო კოლექტივები მოიჩქაროდნენ.

ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნა 5 ივნისს გორის კულტურისა და ტექნიკის სასახლეში. აზერბაიჯანისა და საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელებმა, ვლადიმირის ბიჭების კაპელამ, სომხეთის ტელერადიოს, გორის სამუსიკო სასწავლებლის ქალთა კამერულმა გუნდებმა, მომღერალთა გუნდმა „გორმა" (სამხატვრო ხელმძღვანელები და დირიჟორები გუგბაჯი იმანოვა, გივი მუნჯიშვილი, ედუარდ მარკინი, ტიგრან ეკეკიანი, შალვა მოსიძე, მიხეილ მცურავიშვილი) დიდებულად დაამღერეს ქართული „მრავალჟამიერი" და კომპოზიტორ ჯემალ ბეგდარიშვილის „სიმღერა გორზე".

ფესტივალი დაიწყო.

მეორე დღეს წვიმიანი, ცრიატი ამინდის მიუხედავად ფესტივალის მონაწილეები ქარელის რაიონს გაემგზავრნენ. რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ გივი განძიძემ სტუმრები ყინწვისის სამონასტრო ანსამბლის დასათვალიერებლად მიიწვია. აქვე გაიმართა კონცერტი, რომელსაც ასობით მაყურებელი დაესწრო.

ფესტივალის ცენტრალური მოვლენა გახდა გორის სამუსიკო სასწავლებლის ქალთა კამერული გუნდის შექმნის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო, რომელიც 6 ივნისს სახელმწიფო თეატრში გაიმართა.

გორის სამუსიკო სასწავლებლის ქალთა კამერულმა გუნდმა სახელოვანი ფურცელი ჩაწერა საერთოდ ქართული მუსიკის ისტორიაში, საიუბილეო საღამოზე ბევრი თბილი სიტყვა ითქვა, გამოვიდნენ ფესტივალის სტუმრები, ბოლო არ უჩანდა მისალმებათა ადრესებს. საქართველოში საფრანგეთის ელჩის მეუღლემ ქალბატონმა ფასიემ თქვა: „ამ დილით ყინწვისის ტაძრის ნახვამ ჩვენზე გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა. ჯერ მარტო თამარ მეფის ფრესკა რად ღირს! პირადად მე საქართველოს დედოფალი ამ ფრესკაზე ოდნავ სევდიანი მეჩვენა, მაგრამ ვფიქრობ, რომ მას აქვს უფლება არა მარტო გაიღიმოს, გახარებულიც იყოს: საქართველოში მშვენიერი თაობა იზრდება, მშვენიერია ქვეყნის ხვალინდელი დღე".

საგუნდო კოლექტივების ხელოვნება კიდევ ერთხელ გაბრწყინდა ფესტივალის დასკვნით საღამოს. მაყურებელი მქუხარე ტაშით აჯილდოვებდა საკონცერტო ნომრებს, საშემსრულებლო კოლექტივებს.

სცენაზე ადიან მასპინძლები — საქართველოს კულტურის სამინისტროს, შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის, გორის მერიის ხელმძღვანელები.

კულტურის მინისტრმა ვალერი ასათიანმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს მაღალი ხელოვნებისათვის, მასპინძლებს — ფესტივალის ჩინებული ორგანიზაციისათვის.

მიკროფონთან მიდის შიდა ქართლის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული ბადრი ხატიძე. იგი კითხულობს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მისალმებას გორის საგუნდო მუსიკის ფესტივალის ორგანიზატორების, მონაწილეებისა და მსმენელების, სტუმრებისა და მასპინძლებისადმი.

წაიკითხეს მადლობის წერილები, რომლებიც პრეზიდენტმა ფესტივალის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით გამოუგზავნა აზერბაიჯანის, სომხეთისა და ვლადიმირის (რუსეთის) კამერული გუნდების ხელმძღვანელებს გუგბაჯი იმანოვას, ტიგრან ეკეკიანს და ედუარდ მარკინს.

პრეზიდენტის განკარგულებით გორის სამუსიკო სასწავლებლის ქალთა კამერულ გუნდს ქართული მუსიკალური ხელოვნების მაღალმხატვრული პროპაგანდისა და საერთაშორისო სარბიელზე ღირსეული წარმოჩენისათვის გამოეცხადა მადლობა.

და ისევ ოვაციები, ყვავილები, სამახსოვრო საჩუქრები, მილოცვები...

ფესტივალის მონაწილე კოლექტივების გაერთიანებული გუნდი მღერის „სულიკოს". სადირიჟორო პულტთან ერთმანეთის მონაცვლეობით დგებიან შალვა მოსიძე, გივი მუნჯიშვილი, გუგბაჯი იმანოვა, ტიგრან ეკეკიანი, ედუარდ მარკინი...

სცენაზე კი კვლავ ყვავილების წვიმაა, მოახლოებული განშორებით გამოწვეული სევდა და იმედი, რომ სტუმარ-მასპინძლები — ორი წლის შემდეგ კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს, ამჯერად გორის საგუნდო მუსიკის მეხუთე ფესტივალზე, კიდევ უფრო მშვიდ, ეკონომიკურად აღორძინებულ და ბედნიერ საქართველოში.

გურამ პაპაკიძე,
„სრ" საკ. კორ.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 8 ივნისი ქ. თბილისი

შ. მოსიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტი, გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის ქალთა კამერული გუნდის ხელმძღვანელი **შალვა მოსიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 8 ივნისი ქ. თბილისი

ა. კაჭარავას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი ალექსანდრე კაჭარავა დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

სოციუმი

თქვენ გჯერათ ჭორის?

ამ თემაზე ქვემოთ ვისაუბრებთ, ჯერ — რამდენიმე სხვა საკითხი

ქვეყნის ინტენსიურმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ საზოგადოების აქტიური რეაქცია გამოიწვია. ამას ადასტურებს თუნდაც წინა კვირის მოვლენებზე სოციოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვა, რომლის მოკლე მიმოხილვას დღეს შემოგთავაზებთ.

„სტუდენტური დღეები" სტუდენტების და არა მარტო მათი აქტიური მონაწილეობით აღინიშნა. ამიტომ არის უთუოდ, რომ ყველა გამოკითხულმა სტუდენტმა იცოდა ამ ღონისძიების მიმდინარეობის შესახებ; მათმა 93 პროცენტმა დადებითად შეაფასა ეს დღეები და მხოლოდ ერთადერთმა პროცენტმა უარყოფითად; 6 პროცენტი ნეიტრალური იყო.


„სტუდენტური დღეების" შეფასება

ამგვარი დამოკიდებულება, როგორც გამოკვლევამ დაადასტურა, განპირობებული იყო კარგი ორგანიზაციით, ინტერესით, სურვილით და ახალგაზრდობის უშუალო მონაწილეობით „სტუდენტური დღეების" პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებში.

26 მაისს, ეროვნული ზეიმის დღეს გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობდა გამოკითხულ სტუდენტთა 46 პროცენტი, სასწავლებლების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში — 44 პროცენტი, ამათგან სამეცნიერო კონფერენციებში — 17, სტუდენტურ თვითშემოქმედებაში — 66, სპორტულ ღონისძიებებში — 13, სხვა ღონისძიებებში — 4 პროცენტი.


26 მაისი – ეროვნული დღესასწაული

ყველა გამოკითხულმა სტუდენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას სტუდენტური დღეების აღნიშვნის შესახებ. იმათგან, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა 26 მაისს რუსთაველის პროსპექტზე გამართულ ზეიმში, 94 პროცენტმა დადებითად შეაფასა ეს ღონისძიება, 4 პროცენტმა ვერ განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება, უარყოფითად იყო განწყობილი მხოლოდ 2 პროცენტი.


26 მაისის დღესასწაულის შეფასება

რა მიზეზებმა განაპირობა სტუდენტთა ასეთი დადებითი შეფასება? ამ შეკითხვაზე მიღებული პასუხები შემდეგნაირად დალაგდა: 21 პროცენტი ფიქრობს, რომ ზეიმი კარგად იყო ორგანიზებული, 44 პროცენტის აზრით — მიეცა გართობის საშუალება; 35 პროცენტმა კი უპასუხა: დამეუფლა იმის განცდა, რომ ვუბრუნდებით ნორმალურ ცხოვრებას.


დადებითი შეფასების მიზეზები

ცალკე გამოკვლევა ჩატარდა უზბეკეთის პრეზიდენტის ისლამ კარიმოვის ვიზიტის შედეგებზე. გამოკითხულ სტუდენტთა 92 პროცენტი და მოსახლეობის 83 პროცენტი თვლის, რომ ეს დადებითი მოვლენა იყო ქვეყნის ცხოვრებაში, რადგან ვიზიტი ხელს შეუწყობს ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ურთიერთობათა განვითარება-გაფართოებას.

26 მაისის დღესასწაულის წინ მსჯავრდებულთა პრეზიდენტის მიერ შეწყალებას დადებითად აღიქვამს გამოკითხულ სტუდენტთა 92 პროცენტი და მოსახლეობის 78 პროცენტი, ეს აქცია მიაჩნიათ ქვეყნის პრეზიდენტის ჰუმანურ ღონისძიებად.

საზოგადოებაში და, განსაკუთრებით, პრესაში ჭორების, შეუმოწმებელი ფაქტების გავრცელებამ შემაშფოთებელი ხასიათი მიიღო.

რა დამოკიდებულება აქვს მოსახლეობას ამ ნეგატიური მოვლენისადმი, რას ფიქრობს იგი ჭორებზე და როგორ აფასებს მათ?

გამოკვლევის შედეგები საკმაოდ საინტერესო და დამაფიქრებელ სურათს ხატავს.

გამოკითხულთა 48 პროცენტს მიაჩნია, რომ მოარულ ხმებში მეტნაკლები სიმართლეა, 30 პროცენტი კი თვლის, რომ აბსოლუტური სიცრუეა, 22 პროცენტის აზრით ეს არის წინასწარ ამა თუ იმ პიროვნების, ფაქტის ან მოვლენისათვის სახელის გასატეხად გამიზნული ცილისწამება.


მოარული ხმების გჯერათ?

გსიამოვნებთ თუ არა ჭორის მოსმენა? ამ შეკითხვას გამოკითხულთა 36 პროცენტმა დადებითად უპასუხა, 64 პროცენტმა — უარყოფითად. 16 პროცენტს მიაჩნია, რომ ჭორები ხშირად მართლდება, 56 პროცენტის აზრით — იშვიათად, 28 პროცენტი ფიქრობს, რომ საერთოდ არ მართლდება.


გსიამოვნებთ თუ არა ჭორის მოსმენა?


მართლდება თუ არა ჭორი?

მაინც ვისზე ავრცელებენ ჭორს, არის თუ არა აქ რაიმე დაინტერესება, თუ უბრალოდ, როგორც ამბობენ, ენის ფხანაა?

გამოკითხულთა 40 პროცენტი ჭორებს ისმენს მაღალი თანამდებობის პირებსა და მათი ოჯახის წევრებზე; 25 პროცენტი ცალკეულ ფაქტებსა და მოვლენებზე ქვეყნის შიგნით; საზღვარგარეთის ამბებზე — 7 პროცენტი; საკუთარ ნათესავებსა და ახლობლებზე — 20 პროცენტი; სხვა თემებზე — 8 პროცენტი.

სჯერათ თუ არა ჭორების? აქ ჩვენი მოსახლეობა საკმაოდ რეალისტურ დამოკიდებულებას იჩენს, რადგან მოარულ ხმებს ყოველთვის მხოლოდ 4 პროცენტი იჯერებს, ზოგჯერ იჯერებს — 61 პროცენტი, საერთოდ არ სჯერა 35 პროცენტს.

აი, ასეთი არის ჭორის გავრცელებისა და აღქმის სახელდახელო ანატომიური ჭრილი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ნაზრანი: მოლაპარაკება ჭიანურდება, მაგრამ წინ მიიწევს

ოთხი ივნისიდან ინგუშეთის დედაქალაქ ნაზრანში მიმდინარე მოლაპარაკება რუსეთის სამთავრობო და ჩეჩენ სეპარატისტთა დელეგაციებს შორის ექვს ივნისს ისე დამთავრდა, რომ არც ერთი დოკუმენტისათვის ხელი არ მოუწერიათ. მოლაპარაკების განახლება ცხრა ივნისისათვის გადაიდო.

მოლაპარაკების პირველი რაუნდის შედეგები დელეგაციების ხელმძღვანელებმა — რუსეთის ეროვნული და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის მინისტრმა ვიაჩესლავ მიხაილოვმა და ჩეჩენ სეპარატისტთა დელეგაციის მეთაურმა, შეიარაღებული ფორმირებების შტაბის უფროსმა ასლან მასხადოვმა, განსხვავებულად შეაფასეს. ჩეჩენ სეპარატისტთა დელეგაციის ხელმძღვანელმა მას უშედეგო უწოდა. რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა მოლაპარაკება, პრინციპში მოიწონა, როგორც ჩეჩნეთის მოწესრიგების რუსეთის სახელმწიფო კომისიის პრესცენტრის ხელმძღვანელმა სერგეი სლიპჩენკომ განაცხადა, მოლაპარაკების პროცესი მკვეთრად გაართულა ჩეჩენთა რესპუბლიკის მეთაურის ზელიმხან(?) იანდარბიევის განცხადებამ, რომ აზრი არა აქვს სეპარატისტებთან მოლაპარაკებას, ვინაიდან, ისინი არავის არ წარმოადგენენო. აღსანიშნავია, რომ ჩეჩენთა მხარემ გაამკაცრა პოზიცია თვით მძევლებისა და ტყვეების განთავისუფლების საკითხზე. დაჟინებით მოითხოვა, 15 ივნისამდე ჩეჩნეთიდან ფედერალური ჯარების გაყვანა და ჩეჩნეთში 16 ივნისისათვის დანიშნული არჩევნების გაუქმება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საომარი მოქმედების განახლებითაც კი დაიმუქრა. მორიგების თანახმად, 9 ივნისს მოლაპარაკება განახლდა. სამუშაო ჯგუფები საბრძოლო მოქმედების შეწყვეტისა და განიარაღების საკითხებზე ინტენსიურად მუშაობდნენ. მიხაილოვმა ნაყოფიერი უწოდა კვირას გამართულ კონსულტაციებს. მან თქვა, რომ მხარეებმა განიხილეს საომარი მოქმედების შეწყვეტის და ფედერალური ჯარების ეტაპობრივი გაყვანის, აგრეთვე, რაიონების მიხედვით დემილიტარიზაციის საკითხები; რომ განიხილეს 14 ჩეჩენის სეპარატისტთათვის გადაცემისა და ფედერალური ჯარების 27 სამხედრო მოსამსახურის რუსეთის მხარისათვის დაბრუნების საკითხი. ასლან მასხადოვის განცხადებით, მოლაპარაკებაზე გამოიძებნა კომპრომისი ბევრ საკითხზე, მათ შორის, რესპუბლიკიდან რუსეთის ჯარების გამოყვანისა და განიარაღების პრობლემაზე. რადიოსადგურ „თავისუფლების" ცნობით, უკვე ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელიც, კერძოდ, ითვალისწინებს აგვისტოსათვის ფედერალური ჯარების გაყვანას ჩეჩნეთიდან, რომ მოსკოვი, საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, მეტად არის დაინტერესებული, რათა გარკვეული შედეგი მიღწეული იქნეს ჩეჩნეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში.

პრეზიდენტი ბორის ელცინი დარწმუნებულია, რომ პირველ ტურშივე გაიმარჯვებს

რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნების ფინიშამდე სულ ხუთი დღე რჩება. სახელმწიფოს მეთაურის უმაღლესი პოსტის პრეტენდენტები განაგრძობენ ქვეყანაში მოგზაურობას ელექტორატის მისაზიდად. კვირას, რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, რომელიც მეორე ვადით იყრის კენჭს, რუსეთის ტელევიზიით გამოსვლისას დარწმუნებით თქვა, რომ 16 ივნისის არჩევნების პირველ ტურშივე გაიმარჯვებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ არჩევის შემდეგ აპირებს, მტკიცედ განაგრძოს დაწყებული რეფორმები „სოციალური რყევების გარეშე". ელცინმა თქვა, აგრეთვე, რომ არ აპირებს გამარჯვების შემდეგ „თავისი გუნდის დაფერთხვას", თუმცა, ისიც თქვა, რომ მთავრობაში შესაძლებელია გარკვეული ცვლილებები. უწინარეს ყოვლისა, აპარატიდან გაიყვანენ კორუმპირებულ და ეგრეთ წოდებულ „ქორწილის გენერლებს". ზოგიერთი სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებით, ბორის ელცინს პირველ ტურში მზად არის ხმა მისცეს ამომრჩეველთა 37 პროცენტმა, ხოლო მის მთავარ მეტოქეს, კომპარტიის ლიდერს გენადი ზიუგანოვს 26 პროცენტი დაუჭერს მხარს. კომპარტიის ლიდერმა გენადი ზიუგანოვმა კრასნოიარსკის ბიზნესმენთა წინაშე გამოსვლისას განაცხადა, რომ გამარჯვების შემთხვევაში არ განაზორციელებს ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში მკვეთრ შემობრუნებას, რომ კოალიციური მთავრობის ეკონომიკური კურსი მშობლიური წარმოების წახალისებისაკენ იქნება მიმართული. გადასახადებს მკვეთრად შეამცირებენ. რეგულირება შეეხება მხოლოდ საბაზო ფასებს. პრეზიდენტობის კანდიდატმა გენერალმა ალექსანდრე ლებედმა ამან ტოლიუმა სამარაში პრესკონფერენციაზე თქვა, რომ იგი 16 ივნისამდე მოხსნის თავის კანდიდატურას და მოუწოდებს თავის მომხრეებს, ხმა მისცენ გენადი ზიუგანოვს. მოძრაობა „იაბლოკოს" ლიდერმა გრიგორი იავლინსკიმ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე დაადასტურა, რომ პრეზიდენტობის პრეტენდენტებთან — გენერალ ალექსანდრე ლებედთან და ოფთალმოლოგ სვიატოსლავ ფიოდოროვთან კოალიციის შექმნის ძალისხმევა უშედეგოდ დამთავრდა.

თურქეთის მთავრობა გადადგა

თურქეთის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა მიიღო პრემიერ-მინისტრ მესუტ ილმაზის გადადგომა. მასვე დაავალა, განაგრძოს მოვალეობის შესრულება ახალი მთავრობის შექმნამდე. მარტში ილმაზის სამშობლოს პარტიამ და ქალბატონ თანსუ ჩილერის ჭეშმარიტი გზის პარტიამ მოლაპარაკეს შექმნათ კოალიცია, რათა არ დაეშვათ ხელისუფლების სათავეში ისლამისტური კეთილდღეობის პარტია, რომელიც დეკემბრის არჩევნებში პირველ ადგილზე გამოვიდა. მისი ლიდერია ნეჯმეთ ერბაქანი, რომელსაც ტრადიციით, ახალი მთავრობის შექმნა ევალება. თანსუ ჩილერი კოალიციიდან მასში გამოვიდა. ახლა იგი მოუწოდებს შექმნან კოალიცია, რათა არ დაუშვან ისლამისტებისათვის ხელისუფლების გადაცემა.

მოლაპარაკება ბელფასტში

ბელფასტში გუშინ დაიწყო ჩრდილოეთ ირლანდიის მოწესრიგების მოლაპარაკების პროცესი. მონაწილეობენ, ბრიტანეთის ამ პროვინციის მტრული პროტესტანტული და კათოლიკური თემების ძირითადი პარტიები. მაგრამ შინ ფეინის პარტია—ირლანდიის რესპუბლიკური არმიის (ირა) მემარცხენე ფრთა — არ არის მოლაპარაკებაზე დაშვებული. მისი დაშვების პირობად გამოცხადებულია ირა-ს მიერ ტერორისტულ საქმიანობაზე გარანტირებული უარი, რაზეც იგი არ თანხმდება, ვიდრე საბოლოოდ არ გადაწყდება ოლსტერის საკითხი.

განიხილავენ ნარკობიზნესთან ბრძოლის საკითხებს

ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში დაიწყო საერთაშორისო სემინარი ნარკობიზნესთან ბრძოლის საკითხებზე. მონაწილეობენ ცენტრალური აზიის სახელმწიფოები და რუსეთი, აგრეთვე, სპეციალისტები, „ინტერპოლიდან" და გაეროსა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციების სათანადო სამსახურებიდან. უკანასკნელ წლებში ცენტრალური აზიის სახელმწიფოთა ტერიტორიას აქტიურად იყენებს საერთაშორისო ნარკომაფია, როგორც სატრანზიტო დერეფანს ნარკოტიკების გადასასროლად აღმოსავლეთიდან დასავლეთში.

ზღუდავენ ადამიანის უფლებებს

რუსეთის ელჩმა ლიტვაში ალექსანდრე რანნიხმა ლიტვის განათლების კანონპროექტი შეაფასა, როგორც ძირითადი უფლების — ენის უფლების შელახვა. ეს დოკუმენტი, რომელიც სეიმმა პირველი კითხვით მიიღო, ეხება მოსახლეობის რუსულენოვანი მესამედის ინტერესებს. ჯერ ამ ადამიანებს წაართვეს მშობლიურ ენაზე უმაღლესი განათლების მიღების უფლება, ახლა აპირებენ საშუალო განათლების მიღების უფლების წართმევას, აღნიშნავს რუსეთის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი.

ირაკლი ჯაფარიძე.

ლისტიევის მკვლელი ნაპოვნია?

„აიმ-ნოვოსტის" საინფორმაციო სააგენტომ სარწმუნო წყაროებიდან შეიტყო, რომ სარატოვის საგამოძიებო იზოლატორში უკვე რამდენიმე თვეა, დაკავებული ჰყავთ დაახლოებით 40 წლის მამაკაცი, რომელიც, ეჭვმიტანილია ტელეჟურნალისტ ვლადისლავ ლისტიევის მკვლელობაში. წყარო არ გამორიცხავს, რომ გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსკოვის სამართალდამცველმა და საგამოძიებო ორგანოებმა არასასურველი ზემოქმედების, აჟიოტაჟისა და ყოველგვარი შემთხვევითობის თავიდან ასაცილებლად, შეიძლება „საუკუნის დანაშაულის" ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი დედაქალაქიდან დაშორებით ამყოფონ. ჯერ კიდევ ნაადრევია ლაპარაკი ლისტიევის საქმის გამოძიების წარმატებით დასრულებაზე — საბოლოო სიტყვა სასამართლოს ეკუთვნის. როგორც ჩანს, გამოძიება ცდილობს, ბოლომდე გაჰყვეს ჯაჭვს მკვლელობის აღმსრულებლიდან შემკვეთამდე.

გაზ. „არგუმენტი ი ფაქტი", № 22.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ინფორმაცია

მიწისძვრა გურიაში

10 ივნისს, დილით გურიის რეგიონში მოხდა მიწისძვრა, რომელსაც მსხვერპლი და სერიოზული ზარალი არ მოჰყოლია. ოზურგეთის რაიონის სოფლებში მთისპირსა და ასკანაში დაზიანებულია რამდენიმე შენობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის განკარგულებით შეიქმნა სამთავრობო კომისია საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილის მერაბ ადეიშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც ადგილზე გაეცნობა შექმნილ ვითარებას.

„ბრავო, ბრავო სოტკილავა“

შეძახილები ბრავო და დაუცხრომელი ტაში ქუხდა ზურაბ სოტკილავას სოლო კონცერტზე თბილისის მუსიკალური კულტურის ცენტრის საკონცერტო დარბაზში, რომელიც მომღერალმა ქართული ხელოვნების ორი დიდი მეტრის დავით ანდღულაძისა და ოთარ თაქთაქიშვილის ხსოვნას მიუძღვნა.

კონცერტი შესავალი სიტყვით გახსნა და სალამოს უძღვებოდა სახალხო არტისტი ნოდარ ანდღულაძე.

ზურაბ სოტკილავამ შეასრულა ჩაიკოვსკის, რახმანინოვის, სკრიაბინის რომანსები, არიები ოპერებიდან და, რასაკვირველია, — ოთარ თაქთაქიშვილის რომანსი აკაკი წერეთლის ლექსზე. შემდეგ კი, თუმცა საპროგრამო რეპერტუარი ამოწურული იყო, მაყურებელს მომღერალი კარგა ხანს არ გაუშვია სცენიდან. ბრავოს შეძახილებში ჟღერდა იტალიური რომანსები, სიმღერები. მომღერალმა შეასრულა მეგრული ხალხური სიმღერა. დასასრულს ავანსცენაზე გამოსულმა ზურაბ სოტკილავამ დაბალი ხმით წამოიწყო „ქარი გიმღერის ნანას“, მას აჰყვა დარბაზი. ერთად მღეროდნენ: „საქართველო ლამაზო, სხვა საქართველო სად არის?“.

კვების პროდუქტებით დატვირთულ მანქანებს — მწვანე შუქი

შინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძის ბრძანებით პოლიციის ყველა ქვედანაყოფს, მათ შორის საგზაო პოლიციის თანამშრომლებს აეკრძალათ საავტომობილო ტრასაზე კვების პროდუქტებით დატვირთული ავტომანქანების გაჩერება და შემოწმება.

შემუშავდა ამ ბრძანების განუხრელად შესრულების კონტროლის ღონისძიებებიც.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

10 დღეში...

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1 ივნისიდან 10 ივნისამდე განხორციელებული პროფილაქტიკური ღონისძიების შედეგად გამოავლინეს კანონის დარღვევის შემდეგი ფაქტები: მომხდარი 21 ავტოავარიის შედეგად დაიღუპა 3 და დაშავდა 27 ადამიანი, გამოვლენილია 6957 საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ფაქტი, მათ შორის, 213 მძღოლი ავტომანქანას ნასვამი მართავდა, 583 გადააჭარბა სიჩქარეს, ხოლო 861 მძღოლს არ აღმოაჩნდა რეგისტრირებული ავტომანქანის ტექნიკური დათვალიერების დამადასტურებელი ცნობა.

სულ გამოვლინდა წესრიგის დარღვევის 5300 ფაქტი.

გაზსადენის მილიდან ამოიღეს იარაღი

გარდაბნის რაიონის პოლიციამ დააკავა ორი მოქალაქე, რომლებსაც ვარკეთილის სანერგე მეურნეობის დასახლების ტერიტორიაზე გაუქმებული გაზსადენის მილში ჰქონდათ იარაღი: ავტომატი — 8 მჭიდით და 240 ვაზნით, პისტოლეტ „მაკაროვის“ მჭიდი, ხანჯლები, ავტომატი „ყარაბახი“ და 3 ხელყუმბარა.

საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის გარდაბნის განყოფილება.

სასწრაფოდ იყიდება

ოთხოთახიანი ბინა დიღმის მასივის III კვარტალში, 16 სართულიანის მე-8 სართულზე. ტელ.: 51-88-04, 51-76-74. მაკა, დიანა.

მეცნიერება

დაარსება და არსი ახალი აკადემიისა

უკვე დაარსდა და მოღვაწეობას შეუდგა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემია — სახელწოდების მონიშნებითვე, სწორედ მეცნიერულ-ჰუმანიტარულ დარგთა გამაერთიანებელი ორგანიზაცია, რომელშიც თავს იყრიან: ისტორია, ფილოსოფია, ფილოლოგია, ფსიქოლოგია, თეოლოგია, პედაგოგიკა, სამართალმცოდნეობა, ხელოვნება და ხელოვნებათმცოდნეობა.

ეს ახლადდაფუძნებული სამეცნიერო საკრებულო მიზნად ისახავს ჩამოთვლილ მეცნიერულ დარგებში, პარალელურად და კოორდინირებულად, მკაცრად ინტენსიურ აკადემიურ და პროფესიულ კვლევა-ძიებას.

იგულისხმება, რომ ყველა აქ დასახელებული „ლოგია“, „სოფია“ და „მცოდნეობა“, თავიანთი უმთავრესი მიზანდასახულობით, ახალ თვისებრივ დონეზე ერთიანდებიან ზოგად-ქართული მეცნიერული აზროვნების ორბიტაში. მაშასადამე, ახალი აკადემიის მთავარ საყრდენ-საფუძვლად ნაგულისხმევია (ხაზგასმით ნაგულისხმევი!) ეროვნული მოტივი, ანუ ქართული ჰუმანიტარულ-მეცნიერული აზროვნების შემდგომი განვითარებისა და სრულქმნილების პრობლემატიკა.

მკაცრადვე იგულისხმება ისიც, რომ, რადიკალურად დაძლეულ იქნას აქამდე თითქოს „დადგენილი“ და ლამის „წესად“ ქცეული ლოკალურ-კამერული კარჩაკეტილობა თანამედროვე ქართულ-ჰუმანიტარული დისციპლინებისა, და სწორედ ჰუმანიტარული მეცნიერებანი უნდა განვითარდნენ და გაფართოვდნენ ისეთი სისრულითა და სიმაღლით, რასაც ბოლოს და ბოლოს რეალური ზოგადეროვნული განსწავლულობა და განმანათლებლობა უნდა დაერქვას.

სწორედ ამიტომ ახალი აკადემია განსაკუთრებულ ყურადღებას წარმართავს არა მხოლოდ მაღალკვალიფიციური მეცნიერული კვლევისადმი, არამედ იქვე და მისგან განუყრელ-განუკვეთავად — მაღალოსტატური, მაღალაზრობრივი, მაღალხელოვნებითი მეთოდოლოგიის შემუშავებისა და სრულქმნა-სრულყოფისათვის. ანუ სხვა სიტყვებით: ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებანი დახსნილი უნდა იქნან ე. წ. „მარქსისტულ-მეთოდოლოგიური დოგმატიკის ტყვეობიდან“ და ამაღლდნენ „გრაფიიდან“ ზემოთ, „სოფიის“ დონემდე, ანუ ვიზრუნოთ, რათა შეიქმნას ფილოსოფია ისტორიისა, ლიტერატურისა, ხელოვნებისა და ა. შ.

ამავე მეთოდოლოგიით, ახალმა აკადემიამ ცალკე, საგანგებოდ, თუნდაც რუსთველოლოგიის პარალელით, უნდა იკვლიოს თვითონ „ქართლის ცხოვრება“ — ქართულ-ეროვნული საწიგნობრის ეს მეორე სალოცავი ძეგლი, „ვეფხის-ტყაოსნის“ გვერდით. სახელდებითი ასპექტებით, აქ იგულისხმება: „ქართლის ცხოვრება“ და ორიენტალისტიკა“; „ქართლის ცხოვრება“ და ანტიკურობა; „ქართლის ცხოვრება“ და ბიზანტინოლოგია; „ქართლის ცხოვრება“ და ევროპის ისტორია; „ქართლის ცხოვრება“ და კავკასიოლოგია; „ქართლის ცხოვრება“ და ფილოსოფია; „ქართლის ცხოვრება“ და პოლიტოლოგია; „ქართლის ცხოვრება“ და დიპლომატიკა; „ქართლის ცხოვრება“ და ხელოვნება; „ქართლის ცხოვრება“ და ხალხურ-ფოლკლორული შემოქმედება; „ქართლის ცხოვრება“ და თეოლოგია-თეოსოფია; „ქართლის ცხოვრება“ და პედაგოგიური აზროვნება; „ქართლის ცხოვრება“ და ერი და ბერი საქართველოსი; და ა. შ. და ა. შ...

სრული სიღრმით და სისრულით უნდა გაგრძელდეს შესწავლა და კვლევა-ძიება ძველი და ახალი ქართული ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, პედაგოგიური, სამართლებრივი მიმდინარეობებისა, სკოლებისა, ძეგლებისა, თუ ცალკე მოღვაწეთა, ხელოვანთა და მოაზროვნეთა.

გამორჩეული ხაზგასმით მივანიშნებთ იმასაც, რომ ახალი აკადემია, კვლავაც მკაცრი გარდაუვალობით, მიზნად ისახავს, რომ მასში შემავალმა ყოველმა სამეცნიერო ნაკადმა, როგორც ცალკე ქართულ-ეროვნულმა მეცნიერებამ, მუშაობა აწარმოოს თანამოსახელე მსოფლიო სამეცნიერო დისციპლინებთან პარალელური შედარება-შეჯერებით და განხილვა-გააზრებით, რათა ასეთი მუშაობით, ყოველთვის ვიცოდეთ სიმაღლე და მოცულობა ჩვენი ეროვნული კულტურის მიღწევებისა დარგობრივად შესაბამის მსოფლიო კულტურულ მიღწევათა ფონზე.

აკადემიაში შემავალი ყოველი დარგის ცალკეულად, დარგობრივადვე წარმოებული მუშაობა, გზა და გზა, საგანგებოდ კონცენტრირებული და გამთლიანებული უნდა იქნას ქართველი ერის ერთიანი, სწორედ ეროვნული თვითშეგნებისა, ერთსულოვნებისა და ერთნებოვანების ასამაღლებლად და განსამტკიცებლად.

თავის მხრივ კი, ეს ფენომენი — ეროვნულობა საფუძვლად უნდა დაედოს იგივე ქართველი ხალხის ეროვნულ იდეოლოგიას და მსოფლმხედველობას.

ბოლოს და ბოლოს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაამკვიდროს და განამტკიცოს ამ უკანასკნელი წლების „პანქართულ“ კრიზისისაგან“ ჩვენში დაშლილი და გათელილი საკაცობრიო ანბანური ჭეშმარიტება: ლათინური კატეგორიით აღმონაცენი „ნაციონალიზმი“ არის გარდაუვალად აუცილებელი საარსებო ქვაკუთხედი ყოველი საერთო-საკაცობრიო პროგრესული „იზმისა“ და მათ შორის („იზმთა“ შორის!) სწორედ „ინტერნაციონალიზმისა“.

აკადემიამ ინტენსიური გულმოდგინებით უნდა იკვლიოს ქართულ მიწა-წყალზე ხანგრძლივი ისტორიით დადასტურებული ყოველი იურიდიულ-სამართლებრივი სტატუსი საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ზნეობრივი ცხოვრებისა — მოქალაქეობისა, მფლობელობისა, მკვიდრობისა, ხიზნობისა, სტუმრობისა, მოყვრობისა, თუ მტრობისა. იკვლიოს ყოველი მათგანი, უფლებრიობითი და მოვალეობითი ასპექტებით, და მიუსადაგოს ისინი დღევანდელ სინამდვილეს.

ახალი აკადემია შეუნელებელი ყურადღებით მოეკიდება დღევანდელი ქართველი ერის ისეთ საჭირბოროტო (კატასტროფულად საჭირბოროტო!) პრობლემას, როგორიც არის დემოგრაფია.

ასე წარმოგვიდგება საერთო, ზოგადი მონახაზით, ახლადდაფუძნებული აკადემიის სამოღვაწეო პერსპექტივა. ბუნებრივად იგულისხმება, რომ მუშაობის პროცესში საკვლევ-საძიებელ საკითხთა და პრობლემათა რიგი და მოცულობა კიდევ მეტად გაიზრდება და გაფართოვდება.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით
პროფესორი
ლევან სანიკიძე,
აკადემიის პრეზიდენტი.

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხოურ ენათა სახელმწიფო ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს ინგლისური ენის კათედრის (დღე) დოცენტის 1,0 ს/ე-ის, უფროსი მასწავლებლის 3,0 ს/ე-ისა და 2—0,5 ს/ე-ის დასაკავებლად;

გერმანული ენის კათედრის (დღე) უფროსი მასწავლებლის 4,5 ს/ე-ის დასაკავებლად;

ფრანგული ენის კათედრის (დღე) დოცენტის 2—0,5 ს/ე-ის, უფროსი მასწავლებლის 1,0 ს/ე-ისა და 4—0,5 ს/ე-ის დასაკავებლად;

ინგლისური ენის კათედრის (საღამო) უფროსი მასწავლებლის 1,0 ს/ე-ისა და3—0,5 ს/ე-ის დასაკავებლად;

გერმანული ენის კათედრის (საღამო) უფროსი მასწავლებლის 1,5 ს/ე-ის დასაკავებლად;

ფრანგული ენის კათედრის (საღამო) უფროსი მასწავლებლის 2,0 ს/ე-ის დასაკავებლად.

საბუთები მიიღება განცხადების გამოქვეყნების დღიდან 1 თვის განმავლობაში.

საბაზრო ეკონომიკა

რატომ უკიდია ბენზინს ცეცხლი?

მომხიბლავი საკონკურენტო ბაზრის მშვენიერება ჩვენ უკვე საკუთარ ზურგზე გამოვცადეთ. ქართულ ბაზარზე განსაკუთრებით ბენზობიზნესმა იმძლავრა. დედაქალაქის მერიისა თუ ადგილობრივი გამგეობების „გულჩვილობის“ წყალობით თბილისში არ დარჩენილა ქუჩა, ფერდობი, ქარხნის, ფაბრიკის, სამშობიარო სახლისა თუ ერთ დროს მიღწევათა გამოფენის ეზო, სადაც ფულის მაძიებელმა ენერგიულმა ადამიანებმა ბენზინგასამართი სადგურის „ენები“ არ გადმოჰკიდეს... გაჩნდა კონკურენცია (ბევრგან ლიტრი ბენზინის ფასი 27-28 თეთრამდე დაეცა), გაიმართა აღებ-მიცემობა, რის გამოც მებენზინენი და ავტომფლობელები კმაყოფილებას ვეღარც კი ფარავდნენ.

დიდხანს სიამოვნება ვის შერჩენია. გავიდა ხანი და ბენზინმა ერთბაშად ცეცხლი მოიკიდა (ლიტრის ფასი 60-70 თეთრამდე ავარდა). ამან ავტომფლობელთა ფულადი შესაძლებლობები იმსხვერპლა, საზოგადოებაში კი დიდი აჟიოტაჟი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ეს ფაქტი მხედველობიდან არ გამორჩენიათ ხალხის სატკივარით მართლაც გულდამძიმებულ დეპუტატებს, რომელთაც პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე ნავთობპროდუქტებზე ფასების მომატებასთან დაკავშირებით მწვავე კამათი გამართეს. შეიქმნა აზრთა ჭიდილი, ზოგმა არსებული მდგომარეობა ხელოვნურ პროცესად მიიჩნია, ზოგმა ფინანსთა სამინისტროს, საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების გადაწყვეტილებათა გაუქმება მოითხოვა, ზოგმა — ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარება და ფასების რეგულირება. დეპუტატთა ერთმა ნაწილმა ყურადღება იმაზე გაამახვილა, რომ იყიდება ეთილირებული ბენზინი, სათანადო სამსახურები კი ზომებს არ იღებენ. დაისვა გარკვეულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხიც, დაასახელეს ბენზინის ქართველ „მაგნატთა“ კონკრეტული გვარებიც!

მაგრამ ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, განეკუთვნებოდა მსჯელობის სფეროს. რეალურად საქმე კი არავის შეუსწავლია, არავის გაუანალიზებია და, ბუნებრივია, არც დასკვნები გაუკეთებია.

სინამდვილეში რა მოხდა?

როგორც ირკვევა, საწვავის გაძვირებაზე გავლენა მოახდინა არა ერთმა, არამედ რამდენიმე ფაქტორმა. კერძოდ, ფასებმა აიწია მსოფლიო სანავთობო ბირჟებზე, მათ შორის იმ ბირჟებზეც (გენუა, ლავერა), რომლითაც ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნები სარგებლობენ. მაგალითად, თუ 1996 წლის 23 იანვრისათვის 1 ტონა ბენზინი ღირდა 169-171 დოლარი, 12 თებერვლისათვის ფასმა 171-173 დოლარი შეადგინა, ხოლო 30 აპრილისათვის მან უკვე 242-245 დოლარს მიაღწია , ანუ წლის დასაწყისთან შედარებით ფასი მთელი 74 დოლარით (43,2 პროცენტით) გაიზარდა. ფასები ასევე საგრძნობლად გაიზარდა დიზელის საწვავსა და ნავთზე.

ამასთან, ფასების ზრდაზე დამღუპველი გავლენა მოახდინა 10-პროცენტიანი ნატურალური გადასახადის გაუქმებამ და ფიქსირებული 15-პროცენტიანი ბეგარის დაწესებამ. საქმის ისტორია ასეთია: 1996 წლის ბიუჯეტის კანონში შეიტანეს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ნავთობპროდუქტების დაბეგვრა უნდა მომხდარიყო პირველი შემომტანისათვის მხოლოდ და მხოლოდ 15 პროცენტის გადასახადით... მას არ უნდა შეხებოდა სხვა სახის გადასახადი. ეს ჩაწერით კი ჩაწერეს, მაგრამ ვინ დაიცვა? შემდგომში ბიუჯეტში დაფიქსირებულის გარდა საგადასახადო და საბაჟო სამსახურებმა დამატებით კიდევ დაბეგრეს შემოტანილი ნავთობპროდუქტები და ამით პრაქტიკულად ბიძგი მისცეს საწვავზე ფასების ავარდნას.

არ გჯერათ? კი ბატონო, ვიანგარიშოთ. იმ პირობებში, როცა ბენზინის შემომტანი 10-პროცენტიანი ნატურალური გადასახადით იბეგრებოდა, თუ ტონა საწვავზე (243 დოლარის ღირებულების) 23 დოლარის გადახდა უწევდა, ახლა ის ამავე რაოდენობის ბენზინში 76 დოლარს, ანუ სამჯერ და უფრო მეტს იხდის.

მარტო ეს არ არის. ბენზინის ნატურით გადამხდელ იმპორტიორს ერთგვარად სახელმწიფო საქმეთა მოგვარებაშიც შეჰქონდა წვლილი. 10 პროცენტი საწვავი, რომელსაც უტოვებდა სახელმწიფოს, ხმარდებოდა საბიუჯეტო ორგანიზაციებს, მრეწველობას, სოფლის მეურნეობას და სხვა სფეროებს. ბენზინის რეალიზაციის შემდეგ კი თანხები შედიოდა ცენტრალურ ბიუჯეტში.

ბეგარის გადიდებამ, ერთი მხრივ, შეამცირა იმპორტიორ კომპანიათა რიცხვი (ბევრმა შეწყვიტა ნავთობპროდუქტების შემოტანა), ხოლო, მეორე მხრივ, გაზარდა ცალკეული კომპანიების შანსი ხელში აიღონ მონოპოლია, უნამუსოდ ზარდონ ფასები. აკი ასეც მოხდა, ცალკეულმა კომერციულმა სტრუქტურებმა, რომლებმაც ჩაიფიქრეს გამხდარიყვნენ მონოპოლისტები, იანვარ-თებერვალში ბაზარზე დაიწყეს დემპინგური დაბალი ფასების დამკვიდრება. სამწუხაროდ, ამ პროცესს წინ არავინ აღუდგა. მათ გააკოტრეს დანარჩენი კომპანიები და ბაზარი ხელში ჩაიგდეს, მისი საქონლით უზრუნველყოფა კი ვეღარ შეძლეს.

აი, ყოველივე ამან — დაბეგვრის არასწორმა რეჟიმმა, თვით კერძო სტრუქტურების არასწორმა მოქმედებამ და უნამუსობამ, საკონტროლებელი ორგანიზაციების მექრთამეობამ, ზოგიერთმა სხვა ფაქტორმაც — კომპლექსში შექმნეს ბაზარზე ნავთობპროდუქტების დეფიციტი, რასაც შედეგად მოჰყვა ფასების უზომო აწევა.

ეშველება კი რაიმე ამ საქმეს? რით შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება? სახელმწიფოს, რომელმაც თავის დროზე ხელიდან გაუშვა ნავთობპროდუქტებზე მონოპოლია, არავითარი უფლება არ აქვს კერძო სტრუქტურებს ფასები უკარნახოს. მათ ბეგარა გადაიხადეს და თავიანთ საქონელს რა ფასადაც უნდათ ისე გაყიდიან. ხელისუფლებას დღეს არც იმის თავი აქვს, რომ ნავთობპროდუქტების სარეზერვო ფონდი შექმნას, ბაზარზე გაიტანოს და ფასები გააწონასწოროს.

ზოგი რამის გაკეთება მაინც შეიძლება. **ხელისუფლებამ პასუხი უნდა მოსთხოვოს იმათ, ვისი ავტორობითაც ნავთობპროდუქტებზე გადასახადის არასწორი სისტემა დაინერგა, გაატაროს ანტიმონოპოლიური ღონისძიებები, შეზღუდოს ნავთობპროდუქტების სარეალიზაციო ფასები (ზედა ზღვარით). სასურველია, 15-პროცენტიანი ფიქსირებული ბეგარის გადახდა განვადებით მოხდეს. ეს იმპორტიორებს საშუალებას მისცემს ქვეყანაში თანაბარ პირობებში შემოიტანონ საწვავი და ფასებსაც ერთგვარად დაარეგულირებს.**

შესძლებს კი ხელისუფლება ამის გატარებას? უნდა შესძლოს!

სპარტაკ ქოგულია,
ოთარ ხუციშვილი.

ჩოგანი

პირველი შედეგები

ინგლისის სტადიონებზე დაიწყო ევროპის ფეხბურთელთა მეათე ჩემპიონატი.

საერთაშორისო სპორტული ცხოვრების ამ მნიშვნელოვანი ფორუმის პირველივე შეხვედრებმა ნათლად წარმოაჩინეს ის ტენდენციები, რომლებიც დამახასიათებელია თანამედროვე ფეხბურთისათვის. ეს თანაბარწილად ითქმის, როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გუნდების საუცხოო ფიზიკური მომზადება დაძაბული სეზონის შემდეგ. არანაკლებ მისასალმებელია მსაჯების დაუნდობელი, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, გადაჭარბებულიც კი, ბრძოლა უხეშობის წინააღმდეგ. ამავე დროს, რამდენიმე სადავო ეპიზოდი ინგლის-შვეიცარიისა და ესპანეთ-ბულგარეთის მატჩებიდან კვლავ სპეციალისტთა და გულშემატკივართა განსჯის საგნად რჩება, თუმცა ასეთი მაღალი რანგის ტურნირზე უშეცდომო მსაჯობა, დაგვეთანხმებით, გამორიცხულია.

მოკლედ „ევრო-96“ ძალებს იკრებს და მრავალ საინტერესოს გვპირდება.

I ტური

„ა“ ჯგუფი. ინგლისი — შვეიცარია 1:1, ჰოლანდია — შოტლანდია 0:0.
„ბ“ ჯგუფი. ესპანეთი — ბულგარეთი 1:1.
„ც“ ჯგუფი. გერმანია — ჩეხეთი 2:0.
„დ“ ჯგუფი. დანია — პორტუგალია 1:1.

დაწინაურდა ჯანჯღავა

დედაქალაქის ჭადრაკის სასახლის დიდ დარბაზში გრძელდება ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელიც ამავე დროს ქვეყნის ოლიმპიური ნაკრებისათვის კანდიდატების შესარჩევ ეტაპსაც წარმოადგენს.

4 ტურის შემდეგ 3 ქულით დაწინაურდა თბილისელი დიდოსტატი ლაშა ჯანჯღავა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩებიან საქართველოს ორგზის ჩემპიონი გია ბაღათუროვი (თბილისი), ხვიჩა სუპატაშვილი (ქუთაისი) და რომან სიჭინავა (სენაკი).

ხვალ ტურნირზე დასვენების დღეა. დასკვნითი ტური 15 ივნისს გაიმართება.

„მარგვეთს“ გამარჯვება მიულოცეს

განსაკუთრებით საზეიმო განწყობილება სუფევს ამ დღეებში ზესტაფონის სპორტულ ცხოვრებაში. წელს რაიონის ფეხბურთელთა გუნდმა „მარგვეთმა“ საქართველოს პირველობაზე მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა და მოიპოვა ევროტურნირში — კერძოდ, უეფას თასზე მონაწილეობის უფლება.

ყველაფერი ეს თავისით არ მოსულა. „მარგვეთის“ ფეხბურთელთა გუნდმა მთელი 1995-1996 წლის საფეხბურთო სეზონი წარმატებით განვლო, გამოავლინა მაღალი ბრძოლისუნარიანობა, ბრწყინვალე გამარჯვებით დააგვირგვინა ჩემპიონატი და დამსახურებულად დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი. ეს წარმატება თვით ფეხბურთელების, მათი მწვრთნელების და გუნდის პრეზიდენტის ვასილ ხაჭაპურიძის დიდი დამსახურებაა.

ახლახან რაიონის საზოგადოებრიობამ ფეროშენადნობთა ქარხნის კლუბში შეხვედრა მოუწყო „მარგვეთის“ გუნდს.

შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განყოფილების გამგეები თეიმურაზ ფანიაშვილი და მერაბ იაშვილი, გუნდის დიდი ქომაგი ნუგზარ მღივანი, თერჯოლის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე გიორგი ამირანაშვილი, პარლამენტის წევრი ზურაბ ჩხეიძე და სხვები.

გუნდს მისალმა და ევროტურნირში მონაწილეობის უფლება მიულოცა ზესტაფონის რაიონის გამგებელმა ჯემალ გორგოძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს დღე რაიონის სპორტულ ცხოვრებაში დაუვიწყარ ფურცლად ჩაიწერება,

გუნდის წევრებს ტაშის გრიალში გადაეცათ ვერცხლის მედლები.

ჰენრი შარიქაძე,
„სრ“ საკ. კორ.

რუსული, როგორც უცხოური ენა

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხოურ ენათა სახელმწიფო ინსტიტუტში

საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ განათლების სფეროში გასატარებელი რეფორმის საპასუხოდ თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხოურ ენათა სახელმწიფო ინსტიტუტში 1995 წ. ნოემბრიდან დაიწყო სასწავლო პროცესის რეორგანიზაცია, რომელმაც მოიცვა 5 ეტაპი. სადღეისოდ ეს პროცესი დასრულებულია. რეორგანიზაციის ინიციატორი და ხელმძღვანელია ამჟამინდელი რექტორი, ბატონი იური მოსიძე, სხვა ცვლილებებთან ერთად აღსანიშნავია რუსულის, როგორც უცხოური ენის შემოღება.

იმდენად, რამდენადაც რუსულ ენას ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში მიენიჭა ახალი, უცხოური ენის სტატუსი, მან უცხოურ ენათა შორის უნდა დაიკავოს ამ ინსტიტუტში თავისი ადგილი და ისწავლებოდეს სხვა ენების, როგორც სპეციალობების თანასწორად. ამ სპეციფიკას და დღევანდელობის ამოცანებს — შეასწავლოს ჩვენს ახალგაზრდობას ევროპულ უცხოურ ენებთან ერთად რუსულიც, როგორც კომუნიკაციის საშუალება ამ ტერმინის ვიწრო და ფართო გაგებით (ყოველდღიური ურთიერთობა, ბიზნესთან კავშირურთიერთობა, კულტურული კომუნიკაცია).

აბიტურიენტები, რომლებსაც წელს მივიღებთ ახალი სპეციალობით, ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებზე მშობლიურ (ქართულ) ენასა და ლიტერატურას, რუსულს (როგორც უცხოურს) და საქართველოს ისტორიას. მესამე კურსიდან, როგორც მიღებულია ინსტიტუტში, ისინი ისწავლიან მეორე უცხოურ ენას — ინგლისურს, გერმანულს, ფრანგულს ან ესპანურს. სიახლის შემოღების შესაბამისად, რუსულ ენასაც შევასწავლით ორი განხრით, — პედაგოგიურ და მთარგმნელობით სექტორებზე. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მთლიანად პასუხობს რუსული ენის ახალ სტატუსს ჩვენი მოსახლეობისათვის — წინა პლანზე თანდათანობით იკვეთება ამ ენის ახალი საზღვარგარეთთან ურთიერთობის ფუნქცია.

ჩვენი ინსტიტუტი ენობრივი ინსტიტუტია და ამდენად რუსულის სპეციალობად შემოღება სავსებით ლოგიკურია. ის არ ითვალისწინებს კონკურენციას ან პარალელიზმს იმ უმაღლეს სასწავლებლებთან (ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი თუ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი), სადაც იგივე ენა ისწავლება ამა თუ იმ ასპექტში. ჩვენი მიზანია ვასწავლოთ სტუდენტობას რუსული იმ დიდაქტიკის და მეთოდიკის გამოყენებით, რომელთა საფუძველზე ისწავლება ევროპული ენები მთელ მსოფლიოში და რამდენადმე ჩვენს ინსტიტუტშიც.

ამ სიახლის შემოღება შეავსებს გარკვეულ ვაკუუმსაც რუსული ენის სწავლების მიმართულებით. დადგა საამისო დრო და რუსულმა ენამ უნდა დაიკავოს მისთვის შესაფერი ადგილი სხვა ევროპული ენების გვერდით, როგორც შესასწავლმა დისციპლინამ. ამგვარი ამოცანის განხორციელება სწორედ ჩვენი ინსტიტუტის მისიაა.

თ. ლორთქიფანიძე,
დოცენტი, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხოურ ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის რუსული ენის კათედრის გამგე.

გთავაზობთ

1. ქსეროქსის ქაღალდს; ფ. A4; 1 შეკვრა (250 ფურც.) - 3,80 ლ.
2. საწერ და საბეჭდ ქაღალდს; ფ. A4; 1 შეკვრა (260 ფურც.) - 3,40 ლ.
3. საწერ ქაღალდს (II ხარისხი) ფ. A4; 1 შეკვრა (220 ფურც.) - 2,20 ლ.
4. პრინტერის ქაღალდს რულონებში; სიგანე 21სმ; 1რულ.-6ლ.
5. პრინტერის პერფორირებულ ქაღალდს; სიგანე 42სმ; 1კგ-3,8ლ.

- უნაღდო ანგარიშსწორებით. ადგილზე მიწოდებით.

ტელ.: 38-91-64 39-84-05

მსოფლიო მოგზაური ამერიკაში

დედამიწის გარშემო მსოფლიოს ყველა ქვეყნის გავლით მარტოდმარტო ველოსიპედით მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა ყოველდღიურად ამტკიცებს, რომ თანამედროვე ადამიანის შესაძლებლობებს საზღვარი მართლაც არა აქვს.

ამ დღეებში საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას მეთაურობით მოგზაურობის ქალაქ რუსთავიდან დაწყების ათასი დღე შესრულდა. ამ დროში ჯუმბერ ლეჟავამ წარმატებით დაძლია აზიის, ავსტრალიისა და ოკეანიის, 56 ქვეყნის გზები — 120 ათასი კილომეტრი და ივნისის დამდეგს იაპონიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა. წინ 2001 წლის იანვრამდე გასავლელია კიდევ 171 ქვეყანა, 230 ათასი კილომეტრი...

ამერიკამდე იაპონიამ გინესის რეკორდსმენ მოგზაურს უძილობისა და ველოსიპედით უსწრაფესი გადაადგილების რეკორდი დაამყარებინა: საქმე ის არის, რომ ამომავალი მზის ქვეყნის შესაბამისი სამსახური ჩვენს თანამემამულეს ვიზას დიდხანს არ აძლევდა, აქაოდა ყოფილი კომუნისტური ქვეყნის შვილი ხარო, მხოლოდ სამხრეთ კორეელი გულშემატკივარი ჟურნალისტებისა და საერთაშორისო პოლიციის თანადგომით მისცეს ამ ქვეყნის შემოვლისათვის 54 საათი! ასე მკაცრად განსაზღვრულ დროში — ორი დღე და ექვსი საათი — როგორც მოგზაურობის ხელმძღვანელი სამეცნიერო-საგამომგონებლო ფირმა „თემურ მაისურაძის“ სახელზე ჰონოლულუდან ფაქსით მოსული ცნობიდან ირკვევა, ჯუმბერ ლეჟავამ შეძლო იაპონიის ოთხი დიდი ქალაქის ოსაკა, ნარა, კიოტო და კობეს გაცნობა-დათვალიერება.



ჯუმბერ ლეჟავას მარშრუტი:
უწყვეტი ხაზით ნაჩვენებია გავლილი გზა, წყვეტილით — გასავლელი.

ამის შემდეგ წყნარი ოკეანით ამერიკაში — ჰავაის არქიპელაგში გასულს მიეცა დასვენების, ძალის მოკრებისა და საქართველოსთან დაკავშირების საშუალება. ხოლო ჰონოლულუს გაზეთებმა მას სადიდებელი წერილები უძღვნეს.

15 ივნისს იწყება ჯუმბერ ლეჟავას მსოფლიო მოგზაურობის თვისებრივად ახალი ეტაპი: სან-ფრანცისკო-ატლანტა. ასე, რომ კავკასიის ჯორჯიიდან ამერიკის ჯორჯიისაკენ მიმავალ ზაფხულის 26-ე ოლიმპიური ასპარეზობის საპატიო სტუმარს მრავალისმნახველ ამერიკაში მრავალი საინტერესო შეხვედრა ელის.

და, ბოლოს, ორი საგულისხმო ცნობა გულშემატკივრებისა და ჟურნალისტებისათვის: ოლიმპიური ამერიკა ჯუმბერ ლეჟავას მსოფლიო ველოლოგისეის რიგით 57-ე ქვეყანაა, ხოლო 23 ივლისს მას 57 წელი უსრულდება.

განჟი მანია.

გამორჩეული მუშკეტერები

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ფარიკაობის სპეციალიზებულმა დარბაზმა ამ დღეებში უმასპინძლა საქართველოს ჩემპიონატს ფარიკაობაში.

გაცნობებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას: ხმალი — ვ. ვაშაძე, კ. მახარაძე, ზ. ლიპარტია (სამივე თბილისი); რაპირა, ბიჭები — პ. ხურციძე (ბათუმი), თ. ჭინჭარაული (თბილისი), ვ. კვაღიშვილი (თბილისი); რაპირა გოგონები — ხ. ჭუმბურიძე (თბილისი), მ. მაღლაფერიძე (ქუთაისი), ნ. ბერძე (თბილისი); დაშნა ბიჭები — გ. ცნობილაძე (ბათუმი), ვ. ნანიტაშვილი (ქუთაისი), ტ. გოგილჩიძე (თბილისი). დაშნა გოგონები — რ. გოგიავა (ბათუმი), შ. რიჟამაძე (ქუთაისი), ნ. ვარდანაშვილი (თბილისი).

შორენა ცხოვრებაშვილი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ჩვენი გაზეთის აქტიურ ავტორს, პროფესორ ნოდარ კიკვაძეს მეუღლის

მერი ლორთქიფანიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერი ლორთქიფანიძე-კიკვაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დედა იოლანტა, მამა გია, მეუღლე ქეთო, შვილი ნატალი, და საშურა აბზიანიძეები, დისშვილი მაკა, სიძე ბიძინა აროშიძეები, დეიდა სვეტა, ბიძები სოსო, ანზორი, ბებიები ქეთო თურმანიძე, იუნონა მგელაძე, სიდედრი მაცაცო, სიმამრი ზურაბი, ცოლისძმა ზუკა საკანდელიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ გიორგის ძე აბზიანიძე

პანაშვიდი 11, 12 VI, 17 ს., გამოსვენება 18 VI, 16 ს. გრიბოედოვის ქ. № 28.

მეუღლე მერი, დედა ნინა, შვილები გია, რუსიკო, მაია, ძმა იური, და ნანული, შვილიშვილები ნატო, ნინო, მერი, რძალი მანანა, ძმისწულები ნინო, თინიკო, დისწულები ვახტანგი, მერაბი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მამია გრიგოლის ძე კვაჭანტირაძე

პანაშვიდი 11, 12 VI, 4 ს., გამოსვენება 18 VI, 8 ს. თემქის დასახლება, IX კვარტალი, 17 კორპუსი.

მორიგე რედაქტორი ანზორ ბასილა

გამომცემელი შპს „პრესა“
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66434. ტელ.: 99-73-24.
მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილ